603/2 H13.564

ლელო

№94
(11 140)

29 ნოემბერი – 3 დეკემბერი, 1997 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს ორგანული კანონი

საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ

მუხლი 1.

ეს კანონი განსაზღვრავს კავშირის, ფონდის, პროფესიული კავშირისა და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის საფუძვლებსა და წესს.

მუხლი 2.

საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება ან მისი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ კანონის განსაზღვრულ შემთხვევებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

1. სასამართლოს შეუძლია 3 თვემდე ვადით შეაჩეროს იმ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე.

2. სასამართლოს შიერ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერების ვადის გასვლის შემდეგ საზოგადოებრივი გაერთიანება კვლავ აგრძელებს საქმიანობას.

მუხლი 4.

სასამართლოს შეუძლია აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა, ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განაახლებს ამ კანონის მე-3 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ საქმიანობას.

მუხლი 5.

სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივი გაერთიანების შეჩერების ან აკრძალვის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6.

საზოგადოებრივი გაერთიანების აკრძალვის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.
თბილისი, 1997 წლის 14 ნოემბერი.

კვალიფიკაციას ისევ აიმაღლებენ

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოსცა ბრძანება „სპორტის სფეროში მომუშავე სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის მუშაობის განახლების შესახებ“. მუშაობას ეს ფაკულტეტი (დეკანი თ. სანებლიძე) 1998 წლის 15 იანვრიდან შეუდგება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში.

* * *

საქართველოს განათლების სამინისტრომ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა, ბავშვთა და მოზარდთა სპორტულმა საზოგადოება „მართვემ“ და პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენმა“ დაამტკიცეს სასპორტო სკოლის სანიმუშო დებულება.

ჩემპიონთა ლიგა

„ნოუ კამპზე“ „ბარსელონა“ – „ნიუკასლის“ მატჩში სტუმართა რიგებში საზრიანი თამაშით გამოირჩეოდა თემურ ქეცბაია. ქართველმა ნახევარმცველმა ინგლისელთა ორივე ყველაზე სახიფათო შეტევაში მიიღო მონაწილეობა – პირველ ტაიმში ტომასონი გაიყვანა დასარტყმელ-პოზიციაზე, შესვენების შემდეგ კი, ჩვენებურის გადმოცემით, უოტსონმა ვერ ისარგებლა.

ევროპის საკლუბო ტურნირები:
იხ. მე-4 გვ.

ვასილ ხაჭაპურიძეს სრული ნდობა

„ლელოს“ რედაქცია დაუკავშირდა ზესტაფონის გამგებლის მრჩეველს სპორტის საკითხებში გოგი ვარდოსანიძეს. მისი ცნობით, ჩატარდა საფეხბურთო კლუბ „მარგვეთის“ და ფეხბურთის გულშემატკივართა გაერთიანებული კრება, რომელსაც ესწრებოდა გამგებლის მოადგილე ლევან გველესიანი და თვით გ. ვარდოსანიძე. კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი კლუბის პრეზიდენტის პოსტზე ვ. ხაჭაპურიძის დაბრუნებას. რაიონში ყველა მოწადინებულია მხარი დაუჭიროს პრეზიდენტს. თავის მხრივ ვ. ხაჭაპურიძეს განუცხადებია, რომ ყველაფერს იღონებს საფეხბურთო ტრადიციების ახაღორძინებლად, ადგილობრივი კადრების მოსამზადებლად კი განზრახული აქვს გახსნას ბავშვთა საფეხბურთო სკოლა.

32-ე მონაწილე დღეს გაირკვევა

ავსტრალია, თუ ირანი?

FRANCE 98
COUPE DU MONDE

დღეს მელბურნის სტადიონ „კრიკეტ გრაუნდზე“ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, 32-ე მონაწილე გაირკვევა – პლეი-ოფის მეორე მატჩში ერთმანეთს შეეჯიბრებიან ავსტრალიისა და ირანის ეროვნული ნაკრები გუნდები. როგორც ვიტყობინებოდით, გასულ შაბათს მეტოქეებმა თეირანში ფრედ ითამაშეს 1-1. მაშასადამე, მიმომხილველთა აზრით, მეხუთეკონტინენტელების შანსები უფრო პერსპექტიულად მოსჩანს.

ხუთშაბათს აზიელებმა 40-საათიანი მგზავრობის შემდეგ მელბურნს ჩააღწიეს. აეროპორტში ნაკრების პრეს-ატაშემ ალი მანდუსაფირმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მეტოქეთა შანსები დაახლოებით თანაბარია: „ალბათ, 100 ათასამდე გულშემატკივარი დაუჭერს მხარს ავსტრალიელებს, მაგრამ ამის არ გვეშინია. ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. დარწმუნებული ვარ ალაჰიც შეგვეწევა და მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენ წავალთ.“

ხელფასს გადაუხდის დეპარტამენტი

1998 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თავის შტატში ჩარიცხავს სამხარეო სპორტული სამმართველოების ხელმძღვანელებს. მათი ყოველთვიური ხელფასი სპორტული ფედერაციების პრეზიდენტებისას გაუტოლდება. მაგრამ იქნება ოდნავ იმაზე ნაკლები, რაც თვით სპორტის დეპარტამენტის მოადგილის ხელფასია.

საააგენტო „გუმათი“

საქართველოს
IX ეროვნული
ჩემპიონატი
ფეხბურთში

პირველი ჯგუფი
XV ტური

დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი) 2-1

დინამო: ჭანტურია, კალაძე, ჯელაძე, დოდავა, ჩიხრაძე, დემეტრაძე, ალექსიძე, გოგიჩაიშვილი (გელაძე, 46), მუჯირი (ჩხაიძე, 74), ხომერიკი.

სიონი: ჩლაიძე, ჩომახიძე (სამხარაძე, 85), ყაველაშვილი, ყიფშიძე, წიკლაური, ტრაპაიძე, ხოსრაშვილი (მოსეშვილი, 62), შაკიაშვილი, ისიანი, ტყავაძე, ტარტარაშვილი.

გოლი: ტრაპაიძე (18), დემეტრაძე (26), მუჯირი (50).

გააფრთხილეს: გოგიჩაიშვილი, კალაძე, ხოსრაშვილი, ტყავაძე.

მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი).

ბოლნისელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში. მათი გატანილი გოლიც ერთობ კარგი სანახავი გამოდგა — სიონმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა, მარჯვენა ფლანგიდან ისიანმა დინამოელთა საჯარიმოს მისადგომებთან გადასცა ბურთი ტყავაძეს, რომელმაც ერთი შეხებით ფილიგრანული პასი გაუჭრა მასპინძელთა საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან შესულ ტრაპაიძეს და ჭანტურიაც უძლური გამოდგა დამაგვირგვინებელი დარტყმისათვის. დინამოელები, რაღა თქმა უნდა, მყისვე შეეცადნენ საკადრისი პასუხი გაეცათ სტუმრებისათვის, მაგრამ საგრძნობი სათამაშო უპირატესობის მოპოვებას ვერ ახერხებდნენ. ბოლნისელთაგან მთელი მატჩის განმავლობაში გამოირჩეოდნენ ტრაპაიძე და ტყავაძე, მათ რამდენიმე მწვავე შეტევის განხორციელებაც შეძლეს, თუმცა ეს ყველაფერი ნაკლებადპროდუქტიულად რჩებოდა. დემეტრაძემ კი კარგად ისარგებლა სიონის მცველთა დაუდევრობით და ალექსიძის ჩაწოდებული ბურთი ერთი შეხებით გოლადაც აქცია დაახლოებით თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან. ამის შემდეგ გოგიჩაიშვილსაც შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ჩლაიძემ იყოჩაღა. ტაიმის მიწურულს კი უპირატესობას ბოლნისელები დაეუფლნენ. მათ დაწინაურებაც შეეძლოთ, როცა წიკლაურის ჩამოწოდებული კუთხურისას ტყავაძეს ახლო მანძილიდან დარტყმული ბურთი ჭანტურიამ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია.

მეორე ნახევარში დინამოელებმა დიდი ძალებით, უფრო აგრესიულად შეუტიეს და მუჯირმაც დაახლოებით 25 მეტრიდან ისე გაისროლა, რომ ჩლაიძე არც კი განძრეულა. მარცხის შეგუებას სიონი არ აპირებდა, მაგრამ საამისო ძალა უკვე აღარ შესწევდა, თუმცა მოსეშვილს უნდა ეხსნა თავისი გუნდი, მაგრამ მისი თავური ერთობ უნიათო გამოდგა. თავის მხრივ დინამოელებსაც შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ ჩლაიძემ და დემეტრაძემ ვერ ივარგეს.

დათო თავართქილაძე

აი, როგორ გამოიყურება დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ.)	14	12	2	0	40-5	38 (-4)
ოდიში	15	10	1	4	23-21	31 (-14)
დინამო (ბთ.)	14	8	5	1	29-10	29 (-13)
უნივერსიტეტი	15	7	4	4	21-11	25 (-20)
კოლხეთი-1913	15	7	3	5	31-16	24 (-21)
ტორპედო	14	5	6	3	20-16	21 (-21)
მორკინალი	15	5	6	4	17-13	21 (-24)
ლოკომოტივი	15	5	5	5	17-23	20 (-25)
მერანი-91	15	7	3	5	21-17	19 (-26)
დილა	15	6	1	8	15-23	19 (-26)
მეტალურგი	14	5	0	9	15-25	15 (-27)
სამგურალი	15	4	2	9	17-32	14 (-31)
გურია	15	3	4	8	18-30	13 (-32)
სიონი	15	4	5	6	24-19	12 (-33)
მაღაროელი	15	3	2	10	12-33	11 (-34)
მარგვეთი	15	1	3	11	12-38	6 (-39)

შენიშვნა: „სიონს“ და „მერანი-91“-ს ჩამოკლებული აქვთ 5-5 ქულა.

ამრიგად, პირველი წრის დასასრულამდე ჩასატარებელი დარჩა ორი გამოტოვებული მატჩი: ტორპედო (ქუთაისი) — მეტალურგი (რუსთავი) — შეხვდრა შაბათს, 29 ნოემბერს გაიმართება, ხოლო დინამო (ბათუმი) — დინამო (თბილისი) — 3 დეკემბერს.

მსოფლიოში საუკეთესონი

ამერიკელი მერიონ ჯონსი, რომელმაც ათენში, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი მოიგო ქალთა სპრინტში და 800 მეტრზე რბენაში ასევე ქალთა შორის მსოფლიო რეკორდსმენი კენიელი წარმოშობის **უილსონ კიპკეტერი** მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ, გამოკითხვის შედეგებით დაასახელა წლის საუკეთესო სპორტსმენებად. სხვათა შორის, კიპკეტერმა ორჯერ მეტი ხმა მოაგროვა, ვიდრე უახლოესმა კონკურენტმა ეთიოპიელმა ხაილე გებრესელასიემ.



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

საქართველოს 18 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ვერ შეძლო დაეძლია ბერძენი თანატოლების წინააღმდეგობა — ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მიღმა დარჩა. წარუმატებლად ჩაერთვნენ კონტინენტის პირველობაში ქართველი კალათბურთელები, ისინი ჩეხებთან დამარცხდნენ.

იხ. მე-3 გვ.

დავა კომპრომისით დასრულდა

ნაგანო-98-ის ორგანიზატორთა და საერთაშორისო სათხილამურო სპორტის ფედერაციის (ფის) ერთწლიანი ემოციური დავა თუ რა სიმაღლიდან აიღონ სტარტი სპორტსმენებმა, მხოლოდ ახლა დასრულდა. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურმა მაკოტო კობაიასიმ, რომელსაც სიჯიუტისათვის ყველა აკრიტიკებს იაპონიაშიც და უცხოეთშიც, „ოქროს შუალედი" მონიშნა ფისისა და კომიტეტის პოზიციებს შორის. სოკ-ის ნორმების შესაბამისად, როგორც ფის-ის ექსპერტები ირწმუნებიან, ტრასის სასტარტო წერტილი 1800 მეტრის სიმაღლეზე უნდა მოეწყოს, თამაშების ორგანიზატორებმა კი ის 1680 მეტრის ნიშნულზე მოათავსეს, რაც ადგილობრივი ეროვნული პარკის დაცვის აუცილებლობით დაასაბუთეს. ბოლო დღეებში კომიტეტის თავმჯდომარეზე ახალი იერიში მიიტანეს, რომელშიც თურმე იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ამას შედეგი გამოუღია: კობაიასიმ განაცხადა, რომ თანახმაა სტარტი 1740 მეტრზე დაინიშნოს. „არც იმის წინააღმდეგი ვარ, რომ სტარტის დონემ უფრო მაღლა აიწიოს, თუკი სასტარტო მოედანი და თვით ტრასა ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ აღმოჩნდება" — უთქვამს მას. კარგად ცნობილია, რომ იაპონელებისათვის ეროვნული ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას, თვით სასტარტო წერტილზეც კი.

თამაზ ილმელი

მინიფეხბურთელთა ტურნირი სენაკში

სენაკში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, გამორჩეულ პატივს მიაგებენ ქართველი ხალხის დიდ შვილს ჟიული შარტავას. მისი ხსოვნის კიდევ ერთი დაფასება იყო მოსწავლე-ფეხბურთელთა ტურნირი, რომელიც ჟ. შარტავას მშობლიურ რაიონში ჩატარდა. 34 გუნდი ჩაება შეჯიბრებაში. ფინალურ ასპარეზობას კი სენაკის ცენტრალურ სტადიონზე 3 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. გადამწყვეტ პაექრობაში №2 სკოლის გუნდს მეშვიდე სკოლელებმა აჯობეს 2:1 და მთავარი პრიზი დაისაკუთრეს. ამ ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანა გამგებელმა ტარიელ დგებუაძემ, რომელიც, საერთოდ აქტიურად უჭერს მხარს რაიონში სპორტის განვითარებას.

გადაწყვეტილია მომავლიდან ჟ. შარტავას სახელობის ტურნირს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭოს.

„ლელოს" საკ. კორ., სენაკი

გამოიწერეთ ლელო

მკითხველი - გაზეთი

შეკითხვა: გთხოვთ გვიპასუხოთ, საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე რა რაოდენობის თანხები გაიცემა კვებისა და საცხოვრებლის დაქირავებისათვის?

ვ. კიკვიძე, ქუთაისი

პასუხი: **საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის 1997 წლის 11 მარტის №1-20 დადგენილებით საბიუჯეტო სახსრებიდან სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთათვის შემოღებულია დროებითი ნორმები: კვების თანხა განისაზღვრება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და შეჯიბრებების ორგანიზატორთა მიერ განსაზღვრული ნორმებით. საცხოვრებლისა — ფაქტობრივი დანახარჯით, მაგრამ არაუმეტეს 100 აშშ დოლარისა დღეში ერთ კაცზე. ამასთან, განსაზღვრულია ე.წ. ჯიბის ფულიც — არანაკლებ 5 აშშ დოლარისა დღეში ერთ კაცზე, იმ შემთხვევაში, როდესაც კვების ხარჯების ანაზღაურება ხდება ორგანიზატორისთვის თანხის წინასწარი გადახდით.**

«ლელოს» რედაქციაში გამართული ღია დიალოგის კვალდაკვალ

მიეცით წყალი უნივერსიტეტის წყალბურთელებს

სპორტის სახეობებს შორის, რომლის რჩეული წარმომადგენლების ოსტატობა მსოფლიო დონემდე ამაღლდა, ჩვენში წყალბურთიც იყო. ყველაფერი კი ნიჭიერებით დაიწყო, თორემ იმ საწყის ეტაპზე, არც ამდენი საცურაო აუზები გაგვაჩნდა, არც სახსრები იყო თავზე საყრელი და მაღალკვალიფიციური მწვრთნელთა კადრებიც მერე იმ თაობიდან წამოვიდა. ტრადიციების საძირკველი მტკიცე აღმოჩნდა, რომელზედაც „ქართული წყალბურთის შენობა" საიმედოდ დაშენდა. წყალბურთელთა გუნდები გამოჩნდა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში... დედაქალაქის კოლექტივებიდან, ბევრს ახსოვს, პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა როგორი მემკვიდრეობა შექმნა, რამდენი სახელოვანი წყალბურთელი აღზარდა. სამწუხაროა, რომ ახლა ყველაფერი დავიწყებას მიეცა, მით უფრო, ამ უმაღლეს სასწავლებელს საკუთარი საცურაო აუზიც გააჩნია. მაგრამ დღევანდელ პირობებშიც კი, თუ რა შეუძლია მონდომებას, ნათლად დაგვანახვა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სადაც თავის დროზე წყალბურთის დანერგვა ჯერ ბავშვთა ჯგუფების ჩამოყალიბებით დაიწყეს, ამჟამად კი თსუ-ს შესანიშნავი იუნიორთა გუნდი ჰყავს. ასე რომ, აქ სპი-ისაგან განსხვავებით, ტრადიციები თითქმის არაფრისგან შეიქმნა. სწორედ ამიტომ უპრიანია დაისვას საკითხი — თსუ-ს გადაეცეს თბილისის რომელიმე საცურაო აუზი. იქნებ თვით სპი-საც კი. საბოლოოდ ამით მხოლოდ ქართული წყალბურთი მოიგებს.

პიტერის გაკვეთილები თბილისში

არა, ცნობილი პიტერი და მისი პრინციპების გაკვეთილები არა გვაქვს მხედველობაში. ეს პიტერ ჰოლცია, გერმანიის ოლიმპიური კომიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტი, რომლის თბილისში ჩამოსვლისა და სპორტის საკითხებზე დაგეგმილ სემინარებზე „ლელო" ადრე იტყობინებოდა.

გერმანელი სტუმარი მართლაც სამი დღე წარსდგა მსმენელთა წინაშე და ბევრი საინტერესო რამ მოუთხრო ჩვენს სპეციალისტებს სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის თანამედროვე, პროგრესული სტრუქტურების შესახებ. ცხადია, მთავარი თემა მაინც გერმანიის გამოცდილება იყო.

ჭადრაკის სამყარო

1

Δ ნოემბერი 1997

საქართველოში, დღეს, ბევრი სპორტული გაზეთი გამოდის, ჟურნალი — არც ერთი. მით უფრო სასიამოვნოა ახალი საჭადრაკო გამოცემის ხილვა, რომელსაც „ჭადრაკის სამყარო" ჰქვია. ამ ყოველთვიური ჟურნალის პირველი ნომერი შთამბეჭდავია შინაარსითაც და გარეგნულადაც. იგრძნობა, რომ მასში ცნობილ სპეციალისტს, ქართული საჭადრაკო მოძრაობის ალიარებულ მემატიანეს, მრავალი წიგნის ავტორს და მიმომხილველს თენგიზ გიორგაძეს, როგორც ამ ახალი ჟურნალის რედაქტორს, მდიდარი გამოცდილება, ჩვეული სითბო და სიყვარული ჩაუქსოვია. უდავოა, მომდევნო ნომრები, რომელსაც დასასრული არ უნდა ჰქონდეს, ერთიმეორეზე უკეთესი იქნება. ამ ნომერში კი უხვადაა ისეთი მასალები, რომელთა აქტუალობას და ოპერატიულობას ჯერაც არ გასვლია ყავლი და ისეთებიც, რომლებიც ესოდენ აუცილებელი და დამახასიათებელია ყველა გამოცემისათვის, რომლის გარეკანს №1 აწერია.

„ჟურნალი, რომელიც ქართველ მოჭადრაკეთა დღევანდელი თაობის სპორტულ-შემოქმედებითი წარმატების მაცნე იქნება, ჩვენი ჭადრაკის ხვალინდელი დღის, ნიჭიერ ნორჩ მოჭადრაკეთა ერთგული და, ვიმედოვნებ, მეტად საჭირო თანამგზავრი გახდება" — წერს შესავალ მისასალმებელ წერილში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ვაჟა შუბლაძე.

ჟურნალი ორშაბათიდან გამოჩნდება ბაზარზე და 1 ლარი ეღირება.

„ლელოს" რედაქცია გულითადად მიესალმება ესოდენ საჭირო ჟურნალის დაბადებას, შემოქმედებით გამარჯვებებს უსურვებს რედაქციის შემოქმედებით მუშაკებს და ყველას, ვინც ჟურნალს დღეგრძელს გახდის.

რაგბი საქართველოს ჩემპიონატი

ჩვენი ქვეყნის მორაგბეთა რჩეულმა გუნდებმა ამ კვირაში პლეი-ოფის მატჩები გამართეს და ახლა ბოლო შეხვედრებში მხოლოდ ჩემპიონი და პრიზიორები დარჩა გამოსავლენი. შაბათს, რუსთავში „აზოტი" მიიღებს „ლოკომოტივს" და მესამე პრიზიორის ბედი გადაწყდება, კვირას კი ჩემპიონს დაასახელებს „ყოჩებისა" და „აიას" მატჩი. ეს შეხვედრა გაიმართება „ლოკომოტივის" სტადიონზე. მანამდე „აზოტი" შინ „აიასთან" დამარცხდა 13:15, „ყოჩებმა" კი „ლოკომოტივს" მოუგო 15:10.

„საჭიროა მატჩ-ტურნირის მოწყობა"

ალექსანდრ ნიკიტინმა, შესანიშნავმა მწვრთნელმა და თეორეტიკოსმა ჭადრაკის ისტორიაში ადგილი თუნდაც იმით დაიმკვიდრა, რომ მსოფლიოს მეცამეტე ჩემპიონი გარი კასპაროვი აღზარდა. ეს-ეს არის მოსკოვში გამოიცა ნიკიტინის მეტად საინტერესო წიგნი „კასპაროვთან სვლიდან სვლამდე, წლიდან წლამდე", სადაც იგი აღწერს თავის მეტად ხანგრძლივ თანამშრომლობას ამ გენიალურ მოჭადრაკესთან.

როგორც ავტორი აღნიშნავს კასპაროვისა და ა. კარპოვის მეხუთე მატჩით, რომელიც 1990 წელს გაიმართა, დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისათვის, ორი გამოჩენილი დიდოსტატის ყველაზე ხანგძლივი, ყველაზე მწვავე და ყველაზე სკანდალური დაპირისპირება. დიახ, ეტყობა სამუდამოდ დასრულდა. მართალია ორი უკანასკნელი მატჩი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, რომ ეს პაექრობა ჯერ კიდევ კარგა ხანს გაგრძელდებოდა. მართალია, ეს გაგრძელება შეიძლება ყოფილიყო ორი „კ"-ს წმინდა კომერციული მატჩი, რომლის ჩატარებას ამ წლის დასასრულს აპირებდნენ, სპორტული თვალსაზრისით მართალია, იგი რაიმე პრობლემას არ გადაწყვეტდა.

ნიკიტინი აღნიშნავს, რომ 1996-97 წლების შეჯიბრებებმა ცხადჰყვეს, ვინ არის ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონი, ე.ი. თანამედროვეობის უძლიერესი მოჭადრაკე. გარი კასპაროვმა დამაჯერებლად მოიგო ყველა დიდი სუპერტურნირი, თავისი რეიტინგი სხვა დიდოსტატებისათვის მიუღწეველ მაჩვენებლამდე, 2820 პუნქტამდე აიყვანა. იგი ფენომენურ მხტომელ სერგეი ბუბკას ჰგავს, რომელიც რეგულარულად ხტება 6 მეტრზე მაღლა, მისი კოლეგები კი, რომლებმაც ასეთ მაჩვენებლებს თუნდაც ერთხელ მიაღწიეს, ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლებიან. რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ სწრაფად მომძლავრებულ ვლადიმირ კრამნიკის სახით კასპაროვს უაღრესად სახიფათო მეტოქე და, შეიძლება, მომავალი მეტოქეც ჰყავს. მაგრამ ვინ გაბედავს და რეალურ კონკურენტებს მიათვლის ახლანდელ ფორმალურ მსოფლიო ჩემპიონ ანატოლი კარპოვს, რომელმაც ეს წოდება მართალია რამდენადმე უცნაური, მაგრამ სრულიად კანონიერი გზით მიიღო.

კარპოვს 1994 წელს ერთი ბრწყინვალე წარმატება ჰქონდა, მან მოიგო სუპერტურნირი ლინარესში, მაგრამ ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი შედეგები ისეთი უფერული იყო, რომ გულშემატკივრები დაკარგა. უკვე არავის სჯერა, რომ კასპაროვთან სამატჩო შეხვედრაში შეძლებს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის სახელის მოპოვებას. არც ისე დიდი ხნის წინათ ვიში ანანდი თავს მსოფლიოს მეორე მოჭადრაკედ (კასპაროვის შემდეგ) თვლიდა და მისი ასეთი განცხადებები არავის უკვირდა: ისეთი შედეგები ჰქონდა, ისეთი სიმპათიური იყო ეს დიდოსტატი „არა მგონია, — წერს ნიკიტინი, — რომ ვლადიმირ კრამნიკი ამ აზრს ეთანხმებოდა, მაგრამ როგორც ნამდვილ მამაკაცს, საერთოდ არაფერი უთქვამს. მან შემდეგ საგრძნობლად გააძლიერა თამაში, რამდენიმე ძლიერი ტურნირი მოიგო, განსაკუთრებით ბრწყინვალედ გამოვიდა დორტმუნდში და გავიდა მეორე ადგილზე (კასპაროვის შემდეგ) რეიტინგ-ლისტში. მისი წამყვანი პოზიცია ახლა უდავოა. ისე რომ, ვინ არის დღეისთვის მეორე?

ნიკიტინის აზრით, ამჟამად მსოფლიოში არის ერთი, ნამდვილად უძლიერესი მოჭადრაკე და ორი ახალგაზრდა, პატივმოყვარე, ჩემპიონობის ნამდვილად რეალური პრეტენდენტი. ამავე დროს უსამართლობა იქნებოდა მსოფლიოს ფორმალური ჩემპიონის (კარპოვის) დავიწყებაც. ამიტომაც ამ ოთხი გიგანტის მატჩ -ტურნირი, ვთქვათ 6 (ანდა სულაც რვა) წრედ შეიძლება გახდეს ისტორიული შეჯიბრება, რომელიც ყოველგვარ უკვე აღნიშნულ პრობლემას მოხსნიდა და ამ პატიოსან ბრძოლაში მსოფლიოს უძლიერესი დიდოსტატების იერარქიას დაამკვიდრებდა.

„უეჭველია, გამოჩნდებიან სპონსორები, რომლებიც გაერთიანებული ძალებით შეძლებენ შესთავაზონ ამ ოთხ სუპერდიდოსტატს ისეთი პირობები, რომლებიც მათ შეეფერებათ".

ნიკიტინი ლაპარაკობს იმ დიდოსტატებზე, რომლებიც თავიანთი ძალით მეტნაკლებად უახლოვდებიან აღნიშნულ ოთხეულს. მათ შორის პირველ რიგში დაასახელა ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) და ვასილი ივანჩუკი (უკრაინა). ერთიც და მეორეც როგორც ცნობილია, დეკემბერში მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს ნოკაუტ-სისტემით. ისინი დიდი პოტენციალის მოჭადრაკეები, მართალია ბევრით როდი ჩამოუვარდებიან, ვთქვათ, კრამნიკს, მაგრამ მასთან შედარებით გაცილებით უფრო არასტაბილური შედეგები აქვთ. „რაც შეეხება ილიუმჟინოვისეულ შეჯიბრებას, რომლის სიტემაშია ლატარეის პრინციპი, მას შეუძლია სცენაზე კიდევ ერთი პრეტენდენტი გამოიყვანოს, რომელიც ამ ფესტივალში თავისი მტკიცე ნერვებისა და კარგი იღბლის წყალობით ფასიანი საჩუქრების ყველაზე დიდ „ტომარას" დაეუფლება. მაგრამ ასე სწრაფად მოპოვებული წარმატება მას არ მისცემს უფლებას ახალ საჭადრაკო მონარქად იწოდებოდეს, როგორც ამას ფიდეს პრეზიდენტი აპირებს. მაშინ ხომ საჭადრაკო სამყარო აშკარად დაიბნევა, ვერ გაერკვევა ამდენი მსოფლიო ჩემპიონის რაოდენობასა თუ თამაშის ხარისხში".

ერთი სიტყვით, მოსკოველი სპეციალისტი გარკვეულად ირონიულად უყურებს მსოფლიო ჩემპიონატს ილიუმჟინოვის, ე.ი. ნოკაუტ-სისტემით და ლოგიკურ მსოფლიოს ოთხი უძლიერესი დიდოსტატის გარი კასპაროვის, ვლადიმირ კრამნიკის, ვიშვანათან ანანდისა და ანატოლი კარპოვის მატჩ-ტურნირში ეძებს გამოსავალს.

ბივი ბამრეკელი

ჭადრაკი

20 წლის სუტოვსკი ძალიან ძლიერია

ყოფილი ბაქოელი ჭაბუკი, ახლა კი ისრაელის უძლიერესი მოჭადრაკე ემილ სუტოვსკი წლეულს დიდი წარმატებით თამაშობს, სადაც კი მონაწილეობს.

ბლე[illegible]ის (სლოვენია) საერთაშორისო ფესტივალზე სუტოვსკიმ 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულით დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი.

შემდეგ იგი მონაწილეობდა მიგელ ნაიდორფის მემორიალში, ბუენოს-აირესში. 9 შესაძლებლიდან 6,5-6,5 ქულით პირველი-მეორე ადგილ[illegible]ი გაიყვეს ემილ სუტოვსკიმ და ცნობი[illegible]ლელმა დიდოსტატმა ივან მოროვიჩმა.

ტურნირი ტურნირს მისდევს

აშშ-ს მოჭადრაკეები მრავალ წინასწარ ტურნირებში ემზადებოდნენ მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც 8 დეკემბერს დაიწყება.

ჩიკაგოში 71 დიდოსტატმა და ოსტატმა მოიყარა თავი. იქ შეჯიბრება 7 ტურად მიმდინარეობდა, შვეიცარიული სისტემით. 5,5-5,5 სვლით 1-4 ადგილები გაიყვეს გრიგორი კაიდანოვმა, ალექსანდრ შაბალოვმა, უოლტერ ბრაუნდმა და ილიას ზიატდინოვმა.

ნიუ-იორკში პირველი – მეორე ადგილები გაიყვეს ნიკ დე ფირმიანმა და პაველ ბლატნიმ (ჩეხეთი).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 18 წლამდე ნაკრებებს შორის

საქართველო — საბერძნეთი 0–0

საქართველო: ბათიაშვილი, მენთეშაშვილი, შაშიაშვილი, წერეთელი, ხარებავა, ხუციშვილი (კორღალიძე, 58), დიღმელაშვილი (ბაქრაძე, 87), გველესიანი, კვარაცხელია, ფარქოსაძე (აფხაზავა, 80), შენგელია.
საბერძნეთი: კოტოლისი, ვერკოპულოსი, ანტონენასი, ტავლარიდისი, კენეტასი, კატოვაკისი (პეტრუ, 66), მაცანგოსი, ბოტარტისი, ვაკუფცისი (ეფენტოპულოსი, 76), პაცატზოღლუ (მეტიადისი, 84), სპირაკოსი.
გააფრთხილეს: პაცატზოღლუ, ვერკოპულოსი, მაცანგოსი, ხარებავა.
მსაჯი: ჯ. სკერფოლდი (ნორვეგია).

მას შემდეგ, რაც ფინალურ ეტაპზე გასვლის რეალური შანსი გაგვიჩნდა, ჩვენ ყველანი, როგორც გვჩვევია, მაქსიმალისტები გავხდით. ვახტანგ კოპალეიშვილმა და მისმა ბიჭებმაც სათანადოდ დაიკაპიწეს ხელები, გულშემატკივარმაც არ დაიზარა ქართული ფეხბურთის ბოლო იმედისთვის (ამ საფეხბურთო სეზონში) ექომაგა, მასმედიამაც სათანადო აჟიოტაჟი შექმნა, მაგრამ რა?

რა და, როცა ძალა აღმართს ხნავს, უკიდურესად ძნელია აღმართული ჯებირის განგრევა-გადალახვა. თუმცა ფეხბურთში, მისი სპეციფიურობიდან გამომდინარე ხომ მსაჯის საფინალო სასტვენამდე ყველაფერი გაურკვეველია. თანაც, ბერძნები მთელი ერთი თვით ნამდვილად ვერ გვჯობდნენ. თუმცა, ელადელი ჭაბუკები ტაქტიკურ-ფუნქციონალური თვალსაზრისით, რომ ჩვენზე მაღლა იდგნენ, აშკარა გახლდათ. თვალშისაცემი იყო მათი ათლეტიზმიც. ჩვენ კი ვიძახოთ — ქართველები ტექნიკურები ვართ და ა.შ. (თუმცა ვერც ჩვენი ტექნიკით დავაკელით რამე ბერძნებს). ასეა თუ ისე, სტუმრებს რაღაც ფხა მაინც ვაჩვენეთ. რა ვუყოთ, რომ ჯერაც ბავშვთა ფეხბურთში სავალალო მდგომარეობაა. რის გამოც ცალსახად ვერავის დავადანაშაულებთ. ამ მატჩმაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ საქართველოს ნაკრებებზე მხოლოდ ერთი-ორი კაცი არ უნდა ზრუნავდეს — მაქსიმალისტებად ქცეულებმა, რეალობასაც დროზე უნდა მივხედოთ.

დათო თავართქილაძე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 16 წლამდე ნაკრებებს შორის

საქართველო — რუმინეთი 0–1

საქართველო: ჯოლოხავა, ხიზანეიშვილი, ჩაჩუა, საჯაია (ზურაბიანი), თავბერიძე, დარჩიძე (ახალკაცი), ადამია, ხიზანიშვილი, წუწუნავა, დეკანოსიძე, შენგელია (ხმალაძე).
რუმინეთი: ზდრინკა, სიმა, სტანინია, ტიდორი (რაი), პარასენოვი, მატეი, მარინაუ, მახია, ნიკოლაუ, ნეგოი, ბალასკოვი (პანევი).
გოლი: ნიკოლაუ (28)
გააფრთხილეს: სტანინა, ნიკოლაუ, თავბერიძე.
გააძევეს: ნიკოლაუ, ახალკაცი.
მსაჯი: დ. დრამეკი (ავსტრია).

პირველი ტაიმის დასასრულს ბევრი არაფერი აკლდა, . ადამიამ მშვენიერ პოზიციაში მდგარი წუწუნავა რომ შენიშნა. შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ჩვენიანი ოფსაიდში იყო, მაგრამ მსაჯმა მშვიდად გახედა გვერდით მსაჯს და... თამაში გააგრძელეთო. წუწუნავამ 35-40 მეტრი ეულად ირბინა, მერე წინ გამოსულ მეკარეს თავზე კი არ გადაუგდო ბურთი, დაიბნა და არაზუსტად დაარტყა. ორიოდე წუთში კი ისევ წუწუნავამ ხელსაყრელი მდგომარეობიდან, როცა შეეძლო კარში დარტყმა, გადაცემა მოინდომა და ბურთი დაკარგა. შემდეგ ხიზანიშვილის ორი სახიფათო თავური დარტყმა, დეკანოსიძისა და დარჩიძის მცდელობები გაცუდდა.

რუმინელებმა კი სახიფათოდ შეასრულეს საჯარიმო, მეკარემ რეაქცია დააგვიანა და 0-1.

მაშ ასე, ჩვენს 16-წლიანებს ჩასატარებელი დარჩათ კიდევ ერთი მატჩი უკრაინელებთან, 2 დეკემბერს, თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. ეს შეხვედრა, ისევე როგორც რუმინელებთან მატჩი, არაფერს წყვეტს. ეგაა, პრესტიჟის აღდგენისათვის უნდა ვიბრძოლოთ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი კალათბურთში

არ უნდა წაგვეგო...

საქართველო — ჩეხეთი 68:70

საქართველო: სანაძე-14, სტეფანია-10, ნაცვლიშვილი-24, ხოშტარია-5, ვაშაკიძე-8, ტურაშვილი-2, ჩხეიძე-1, ბერძენიშვილი-4, გოგობერიშვილი, ბეჟანიშვილი.
ჩეხეთი: ძუდეკი-6, ვაჰალა-4, ბენეში-2, სტანეკი-8, ტრემლი-6, ოკაჩი-32, კლაპეტკი, ბეპეკა-4, ტრნკა-8.
მსაჯები: სტელიოს კუკულეტილოსი (საბერძნეთი), რიშარდ გლოგოვსკი (პოლონეთი).

გულშემატკივართა ფანატურმა მხარდაჭერამ ვერ უშველა ჩვენს გუნდს, არადა, ჩეხეთის ნაკრები არ წარმოადგენდა იმ დაუძლეველ ბარიერს, რომლის გადალახვაც არ შეიძლებოდა. გარდა ამისა, ჩვენების ძირითად ბირთვს ლეგიონერები წარმოადგენდნენ, შეძენილი აქვთ უკვე საკმაო გამოცდილება ევროპულ სარბიელზე, ასე რომ, ამ საშინაო მარცხს ვერც გამოუცდელობას დავაბრალებთ. რა თქმა უნდა, წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზები რომ ვეძებოთ, შორს წაგვიყვანს, მაგრამ იმ ელემენტარულ ნაკლოვანებებზე, რაც ჩვენს ნაკრებს ახასიათებს, არ შეიძლება არ ვთქვათ.

კვლავ იჩინა თავი ეროვნული გუნდის „აქილევსის ქუსლმა" — საჯარიმოების გამოუყენებლობამ, 14 საჯარიმო ავაცდინეთ მიზანს, მაშინ, როდესაც მეტოქემ ნასროლი ჯარიმებიდან მხოლოდ ერთი ბურთი ვერ ჩააგდო. გარდა ამისა, საქართველოს ნაკრების ლიდერებმა ვერ ითამაშეს მაღალ დონეზე, არავინ გამოჩნდა ლიდერობას რომ ითავებდა. ამ დღეს მეტოქე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. გვაჯობა ტაქტიკური თვალსაზრისითაც.

შეხვედრა დაძაბულად წარიმართა. ქართველ კალათბურთელებს ნერვიულობა ეტყობოდათ და შებოჭილად მოქმედებდნენ. ნაცვლიშვილმა მხოლოდ ერთი საჯარიმო ჩააგდო, ამას დაემატა სტეფანიას გაუთვალისწინებელი გარბენი, ჩხეიძის არაზუსტი ტყორცნა, რითაც მეტოქემ ისარგებლა და ტრნკამ ოთხი ქულა მოუტანა გუნდს. დაძაბულობა თანდათან მატულობდა, თუმცა, სანაძის დროულმა სამქულიანმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. მალე ჩვენმა სნაიპერმა მორიგი სამქულიანიც მიაყოლა, ამას შეცვლაზე შემოსული ბერძენიშვილის ბრძოლით მოპოვებული ორი ქულაც დაემატა და ანგარიში 11:12 გახდა. ტანმაღალი ჩეხებისათვის, ალბათ, სწრაფი ტემპი და გარღვევები უნდა შეგვეთავაზებინა, მაგრამ ჩეხები წინა ხაზზე დაცვაში უშეცდომოდ ირჯებოდნენ და ჩვენს პირველ-მეორე ნომრებს ტურაშვილ-ჩხეიძეს გასაქანი არ მისცეს. ვერც სტეფანიამ ითამაშა ჩვეულ დონეზე, გარღვევაზე მხოლოდ ორი ქულა ჩააგდო. იგი ფიზიკურადაც კარგად არ გამოიყურებოდა, მალე დაღლაც დაეტყო.

თამაშის მეათე წუთამდე კვლავ მდევრები ვიყავით. ამ დროს ლიპარტელიანმა სანაძისა და სტეფანიას ნაცვლად მოედანზე ბეჟანიშვილი და ნაცვლიშვილი გამოიყვანა. მათი კარგი თამაშის წყალობით 9 ქულით დავწინაურდით. მაგრამ მიღწეული უპირატესობა მალე დავთმეთ. დაცვაში ელემენტარული შეცდომებიც დავუშვით, საქმეს წუთშესვენებამაც ვერ უშველა, პირველი ნახევარი წავაგეთ ორი ქულით.

შესვენების შემდეგ მწვრთნელებმა დებიუტანტი გოგობერიშვილი შემოიყვანეს. მიზანი ცხადი იყო. მას სწრაფი გარღვევები ახასიათებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩეხებმა უპირატესობა უფრო განიმტკიცეს, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცენტრალური თავდამსხმელი ოკაჩი (222 სმ), ფარზე მისი შემჩერებელი არავინ იყო და რამდენიც ისროლა, ჩააგდო. მეორე ნახევარში კარგად ითამაშა ვაშაკიძემ, განსაკუთრებით, დაცვაში. სწორედ მისი ზუსტი სამქულიანის შედეგად სხვაობა ორ ქულამდე შემცირდა. აქვე ქართველმა კალათბურთელებმა პრესინგს მიმართეს, თუმცა დაცვაში დაბრუნებას ვერ ასწრებდნენ და მეტოქე ზუსტად ახორციელებდა შეტევებს. ერთი სიტყვით, შეხვედრის ბოლო წუთებში ჩვენები განწირულები ჩანდნენ. უკანასკნელ წამზე, ნაცვლიშვილის ორმა ქულამ მხოლოდ ანგარიშის საბოლოო შედეგი დააფიქსირა, შედეგი, რომელიც ხელს არ გვაძლევდა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია არ გაიმართა. დასანანია, რომ ბესიკ ლიპარტელიანმა უარი თქვა შეხვედრის კომენტარზე და მარცხის გამომწვევ მიზეზებზე.

ჩეხეთის მთავარმა მწვრთნელმა ზდენეკ ჰუმელმა კი შემდეგი განაცხადა: „მთავარი ის იყო, რომ ჩემმა კალათბურთელებმა ყველა დავალება შეასრულეს, მაგრამ მეორე ნახევარში მათი თამაშით მაინც უკმაყოფილო ვარ".

გოგა ლომიძე

რედაქციის კომენტარი: ძალიან შევეჩვიეთ უსაფუძვლო აჟიოტაჟს. ისე ვიქცევით, თითქოს „ჩვენი მომრევი" ამ ქვეყანაზე არავინ იყოს და მაყურებელსაც ვთხოვთ, მოვიდნენ ტრიბუნებზე და „სასწაულს" იხილავენ. გვავიწყდება: გულშემატკივარმა სტიმული შეიძლება, მაგრამ არა იმ გამარჯვების გარანტია მოგცეს, რომელიც ასე ძალიან გვჭირდება. იყო დრო მაყურებლის წაქეზებით ძალით გამოგვიგლეჯია მედალი სხვისი ხელიდან, განსაკუთრებით ორთაბრძოლებში, მაგრამ ეს ხომ უპატიოსნობაა. როგორ გვინდოდა მოგვეგო მატჩი ჩეხ კალათბურთელებთან, როცა ჩვენ ეროვნულ ნაკრებს უსახსრობის გამო ერთკვირიანი შეკრებაც არ გაუვლია, შხაპის მისაღებად კი სპორტის სასახლიდან „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსზე მიდიოდნენ. გამარჯვებულმა ჩეხებმა მასპინძელთა ბანკეტზე მისვლაზე უარი თქვეს — რეჟიმი არ დაარღვიეს, შესანიშნავ სასტუმროში შეკვეთით დამზადებული ვახშამი მიირთვეს, მანამდე კი ექიმმა და მასაჟისტმა დაღლილობა მოუხსნეს, კუნთები მოუდუნეს მოთამაშეებს, ჩვენებს კი ექიმი თურმე... საერთოდ არა ჰყავს. არა, ასეთ შემთხვევაში ტრიბუნებიდან წამოსული შეძახილები ნამდვილად ვერ მოახდენს სასწაულს. სულ სხვა მხრიდანაა საჭირო შეძახილი!

ლათინურ-ამერიკული ტემპერამენტი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩილეს საფეხბურთო ნაკრები საფრანგეთში გაემგზავრება — ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც მან ბოლივიის ნაკრებს მოუგო (3-0). მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში გასვლა ტემპერამენტიანმა ჩილელებმა თავისებურად „აღნიშნეს": ორი დაღუპული, ოციოდე დაჭრილი და ორასზე მეტი დაპატიმრებული...

ბოლივიასთან მატჩის დამთავრებისთანავე ათასობით ადამიანი გამოეფინა სანტ-იაგოს ქუჩებში. 23 წლის ახალგაზრდას, რომელსაც გზატკეცილი ტროტუარში არევია, ტაქსს გაუტანია. 86 წლის ფანატი კი პირდაპირ ტელევიზორთან გარდაცვლილა ინფარქტისაგან.

ზღვარგადასული სიხარული ქუჩებში უწესრიგობაში გადაიზარდა და მარტო ქომაგების კი არა, პოლიციელთა ჭრილობებისა თუ ტრავმების მიზეზიც გახდა. ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალთანამდებობიან ჩინოვნიკს ზეიმის შედეგი ნორმალურ მოვლენად შეუფასებია...

ჩქარა, მაკრატელი!

შემჩნეული გექნებათ, მობურთალთა ტრუსები ხან გრძელდება, ხან მოკლდება — მოდის მიხედვით: ჰოდა, ახლახან მოდას შეეწირნენ ამერიკის საკალათბურთო ასოციაციის გუნდის „მინესოტა ტიმბერვულვზის" მოთამაშეები, რომელთაც ტრუსები „უწესდებო" აღმოაჩნდათ, სახელდობრ, გრძელი; უნდა ყოფილიყო კი უფრო მოკლე, თუნდაც ერთი დუიმით (დაახლოებით ორნახევარი სანტიმეტრი).

სამოსი, რომელიც შარვალს უფრო წააგავდა, გუნდის ხუთ წევრს ჯარიმად დაუჯდა; საბოლოოდ „მინესოტამ" 25 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს, ხოლო იმ ხუთიდან თითოეულმა საკუთარი ჯიბიდან კიდევ ორნახევარ-ორნახევარი ათასი;

ასეა, ზოგჯერ თურმე ტრუსების სიგრძეც უნდა შეამოწმო, სანამ მოედანზე გამოხვალ...

ლიხსიქითა კლუბებში მოსალოდნელია დიდი ცვლილებები

თუ არ ჩავთვლით ბათუმის „დინამოს", ლიხსიქითა საფეხბურთო გუნდები წარუმატებლად გამოდიან ეროვნულ ჩემპიონატში. ამიტომ კლუბების მესვეურები დღენიადაგ ეძებენ გამოსავალს და შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობენ.

წყალტუბოს „სამგურალს" ამ გათამაშებაში დაგეგმილი ჰქონდა ათეულში მოხვედრა, მაგრამ ჯერჯერობით მის გამოსვლას კარგი პირი არ უჩანს. კლუბის პრეზიდენტის გრიგოლ ქათამაძის აზრით, ჩავარდნის ძირითადი მიზეზი ცალკეული ფეხბურთელების დაბალი პროფესიონალიზმის შედეგია. ასე, აშკარად არ ამართლებენ იმედებს მეკარეები მამუკა თევზაძე და თემურ ნიშნიანიძე, მცველი გივი ჯანელიძე, თავდამსხმელი კახი ჯანაშია. ქათამაძის გადაწყვეტილებით, ეს ფეხბურთელები ტრანსფერზე არიან წარდგენილნი.

ცვლილებებია მოსალოდნელი აგრეთვე ქუთაისის „ტორპედოშიც". ცნობილი გახდა, რომ ამ დღეებში კლუბის ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჩაატაროს კოლექტივის საერთო კრება, რომელზედაც გამოცხადდება იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომელიც ვერ ამართლებს იმედებს. ვარაუდობენ, რომ გასაყიდ მოთამაშეთა სიაში 4-5 ფეხბურთელი მაინც მოხვდება.

«ეს გიჟური სეზონი იყო. მაგრამ»...

რუსეთის №1 ფეხბურთელი დმიტრი ალენიჩევი ამ დღეებში ხშირად ხვდება ჟურნალისტებს. აი, რამდენიმე საინტერესო ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● ***როგორ ფიქრობთ, შეძლებთ გერმანელების დამარცხებას?***

— უნდა დავამარცხოთ. რახან ჩვენ თვითონ გავიგრძელეთ სეზონი დეკემბრამდე, საწყენი იყო უეფას თასიდან გამოთიშვის შემდეგ წავსულიყავით შვებულებაში. გარდა ამისა, ახლა „კარლსრუე" ის აღარ არის, რაც ორი წლის წინათ იყო. ვესაუბრე იურანსა და ჩერჩესოვს, რომლებიც კარგად ერკვევიან ბუნდესლიგის საქმეებში. მათ ერთხმად განაცხადეს, რომ ჩვენ შეგვიძლია ახლანდელი „კარლსრუეს" დამარცხება.

● ***თუ ასეა, მაშ რატომ ვერ მოახერხეთ სლოვაკიის „კოშიცეს" ძლევა? ძალიან საწყენია, რომ უკვე ზედიზედ ორი წელია ჩემპიონთა ლიგის მიღმა რჩებით.***

— რა გაეწყობა! ასეთ შავ დღეებს ყველა გუნდი უნდა ელოდეს. ასე მოგვივიდა „კოშიცესთან". სხვანაირად ამ მარცხს ვერც კი ავხსნი. როცა ჩემპიონთა ლიგა დავტოვეთ, ჩვენ ისე გავმწარდით, რომ მარჯვნივ და მარცხნივ დავიწყეთ ყველას დამარცხება, როგორც რუსეთის პირველობაზე, ისე უეფას თასზე. განსაკუთრებით კარგად წარვმართეთ მესამე შეხვედრა „სიონთან".

● ***ჩვენმა ნაკრებმა წლის ამოცანის გადაწყვეტა ვერ მოახერხა. რატომ?***

— ჩემი აზრი ასეთია: უბრალოდ, ვალდებული ვიყავით ჯგუფში პირველი ადგილი დაგვეკავებინა. საქმე იტალიელებთან გადათამაშებამდე არ უნდა მიგვეყვანა. ყველაფერი კვიპროსთან ფრემ განაპირობა. შემდეგ ბევრს ვეცადეთ, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შევძელით. ჩვენს მატჩს სოფიაში ბულგარელებთან ყველა ადევნებდა თვალს. აღარ ღირს ლაპარაკი მიკერძოებულ მსაჯობაზე. საწყენი ის არის, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბოლო მატჩებში საკმაოდ კარგი ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ ბედი არა გვქონია.

● ***როგორ შეიძლება მოგება, გოლი თუ არ გაიტანე?***

— გეთანხმებით. თითო გოლის გატანა ისრაელისა და კვიპროსის ნაკრებებთან, რა თქმა უნდა, ცოტაა. გასაგებია, ბულგარელებთან მსაჯმა „მოგვსპო". მაგრამ იტალიელებთან ნეაპოლში რომ წინა ხაზზე არსებითად ვერაფერს მივაღწიეთ? ეტყობა, გადამწყვეტ მომენტში ურთიერთგაგება გვაკლდა. მე, მაგალითად, თამაში ჩემებურად მესმის, იურანს — სხვანაირად, სხვა სკოლა აქვს, კოლივანოვსაც — სხვა შეხედულებები და თამაშის საკუთარი მანერა. შეიძლება ეს სხვადასხვაობა ზოგ რამეში ცუდი არ იყოს, მაგრამ მინდორზე ძალიან ხშირად ერთმანეთს ვერ ვუგებდით.

● ***მსაჯებმა ამ სეზონში მკაცრი შეფასება დაიმსახურეს. განა ჩვენ კარგი მსაჯები არა გვყავს?***

— რატომ, გვყავს. მაგრამ აი ნოვოროსიისკში ფროლოვი ყველაფერს გვიკეთებდა, რაც სურდა. აშკარად წაგვაგებინა.

● ***„სპარტაკმა" რუსეთის ჩემპიონობა კი მოიპოვა, მაგრამ ყველა დანარჩენ ტურნირში დამარცხდა: თანამეგობრობის თასზეც, რუსეთის თასზეც, ჩემპიონთა ლიგაშიც. აქაც მსაჯები ხომ არ არიან დამნაშავეები?***

— არა, რა თქმა უნდა. თუ ამას ნაკრების მარცხსაც დავუმატებთ, რაღაც გიჟური სეზონი გამომივიდა. და მაინც „სპარტაკი" ჩემპიონი გახდა და ახლა უეფას თასის მეოთხედფინალში გასვლის საშუალებაც მოგვეცა.

რუსეთშიც იწყება ჯანყი ფეხბურთში

„ლელომ" სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ დიდი ჯანყი მზადდება რუსეთში. ფეხბურთის მესვეურებს, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ნაკრებმა იტალიელებთან მატჩში დაკარგეს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპზე გასვლის უფლება, რისხვით დამუქრებია პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი. ქვეყნის ერთ-ერთი საჭეთმპყრობელი, ცხადია, ცდილობს ამ მუქარით, ოდნავ მაინც გაანეიტრალოს ის მასობრივი გულისწყრომა, რომელიც გამოიწვია რუსეთული ფეხბურთის ჩაფლავებამ. ვნახოთ, ვინ შეეწირება მთავრობის რისხვას.

საკუთარი ინფორმაცია.

იგნატიევი ჯერჯერობით რჩება

როგორც რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ჯერჯერობით სულაც არ დგას ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ოლეგ იგნატიევის განთავისუფლების საკითხი.

დეკემბრის მიწურულში რუსეთის ფეხბურთის ფედერაცია საგანგებო ყრილობას მოაწყობს, სადაც განიხილება ეროვნულ ფეხბურთში შექმნილი სიტუაცია.

„სახელმწიფო კონტროლს გავაძლიერებთ"

რუსეთის ფიზკულტურისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ლეონიდ ტიაგაჩევმა ჟურნალისტებს განუცხადა:

— რუსეთის ნაკრების მარცხმა მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებში გამოიწვია ყურადღების გაძლიერება ეროვნულ ფეხბურთში შექმნილი სიტუაციისადმი. დეკემბრის თათბირზე ლაპარაკი იქნება ფეხბურთის საქმეებში სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებაზე.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ ახლა სპორტის ხელმძღვანელებს ნაკრებისა და კლუბის საქმეებზე გავლენის არავითარი საშუალება არა აქვთ.

ევროპის საკლუბო ტურნირები ფეხბურთში

ჩემპიონთა ლიგა

ჯგუფური ტურნირი
V ტური



ფეიენოორდი — იუვენტუსი

ბარსელონა — ნიუკასლი

გიოტებორგი — პარი სენ-ჟერმენი

A ჯგუფი

ბორუსია (გერმანია) — გალათასარაი (თურქეთი) 4-1

1-0 ბუტი (22), 2-0 ჰერლიხი (34), 3-0, 4-0 ცორკი (48,86 პენ.), 4-1 ერგიუნი (88).

პარმა (იტალია) — სპარტა (ჩეხეთი) 2-2

1-0 კიეზა (21), 1-1 ნოვოტნი (89), 1-2 ობადინი (90), 2-2 კიეზა (90 პენ.)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ბორუსია	5	4	0	1	11-3	12
პარმა	5	2	2	1	5-4	8
სპარტა	5	1	2	2	6-8	5
გალათასარაი	5	1	0	4	3-1	3

B ჯგუფი

ფეიენოორდი (ჰოლანდია) — იუვენტუსი (იტალია) 2-0

კრუზი (66, 88)

მანჩესტერი (ინგლისი) — კოშიცე (სლოვაკეთი) 3-0

კოული (40), ფაქტორი (85, საკ. კარში), შერინგემი (90).

მანჩესტერი	5	5	0	0	11-4	15
იუვენტუსი	5	3	0	2	11-8	9
ფეიენოორდი	5	2	0	3	7-10	6
კოშიცე	5	0	0	5	2-12	0

C ჯგუფი

ბარსელონა (ესპანეთი) — ნიუკასლი (ინგლისი) 1-0

ჯოვანი (17)

დინამო (კიევი) — ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 1-1

1-0 რებროვი (19), 1-1 დე ბილდე (65)

დინამო	5	3	2	0	13-4	11
ეინდჰოვენი	5	2	2	1	7-6	8
ნიუკასლი	5	1	1	3	5-8	4
ბარსელონა	5	1	1	3	5-12	4

D ჯგუფი

რუსენბორგი (ნორვეგია) — რეალი (ესპანეთი) 2-0

სტრანდლი (42), ბრატბაკი (53).

პორტუ (პორტუგალია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 2-1

0-1 გორგიადისი (24), 1-1 ჟარდელი (28,51)

რეალი	5	3	1	1	11-4	10
რუსენბორგი	5	3	1	1	11-6	10
პორტუ	5	1	1	3	3-7	4
ოლიმპიაკოსი	5	1	1	3	4-12	4

E ჯგუფი

ბეშიქთაში (თურქეთი) — ბაიერნი (გერმანია) 0-2

იანკერი (5), ჰელმერი (31)

გიოტებორგი (შვეცია) — პსჟ (საფრანგეთი) 0-1

რაიბესანდრატანა (87)

ბაიერნი	5	4	0	1	13-5	12
პსჟ	5	3	0	2	9-9	9
ბეშიქთაში	5	2	0	3	5-7	6
გიოტებორგი	5	1	0	4	3-9	3

F ჯგუფი

მონაკო (საფრანგეთი) — სპორტინგი (პორტუგალია) 3-2

0-1 მიგელი (31), 0-2 ოსიანუ (38, პენ.), 1-2 ტრეზეგი (65), 2-2, 3-2 ანრი (75, 90).

ლიერსი (ბელგია) — ლევერკუზენი (გერმანია) 0-2

ემერსონი (54), კირსტენი (66).

მონაკო	5	4	0	1	13-6	12
ლევერკუზენი	5	4	0	1	9-5	12
სპორტინგი	5	1	1	3	7-10	4
ლიერსი	5	0	1	4	2-10	1

მეოთხედფინალში უკვე გავიდნენ ბაიერნი (მიუნხენი), დინამო (კიევი), მანჩესტერ იუნაიტედი, ბორუსია (დორტმუნდი).

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ბოლო ტური გაიმართება 10 დეკემბერს.

საქართველოს თასი



1/8 ფინალი

განმეორებითი მატჩები

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ტორპედო (ქუთაისი) — დილა (გორი) 0-0

ტორპედო: ასლანაძე, ხვადაგიანი, თაურმანიძე (მეტრეველი), შეყრილაძე, მალლაკელიძე, შ. ხუჯაძე, კვეტენაძე, ჯინჯარაძე (ვაჩიბერაძე), ჩხეტიანი, მეგრელაძე, იონანიძე.

დილა: მღივანი, ბალაშვილი, ხ. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ჩიტაია, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (ხაჭაპურიძე), მარლიშვილი (წკრიალაშვილი), ტაბატაძე, შატაკიშვილი (აკოფიანი).

გააფრთხილეს: ჩიტაია, შატაკიშვილი.

მსაჯი: სოსო კახიანი.

შსს აკადემია (თბილისი) — კოლხეთი (ფოთი) 1-1

შსს აკადემია: ჩაჩიბაია, ჩადუნელი, ჰანკოტაძე, ვაშაკიძე (მეტრეველი), კვიციანი, ბახტაძე, კოჩაძე, გოდერძიშვილი, ჯულელი, კაკაშვილი, ალავიძე (მაზანაშვილი).

კოლხეთი-1913: მ. გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ლალანიძე (დ. მახარაძე), ამაშუკელი, ტორჩინავა, ქუნთელია, წივწივაძე (პაპავა), ქუტიძე.

გოლები: 0-1 მიქაბერიძე (18), 1-1 კოჩაძე (88)

მსაჯი: ლევან ფანიაშვილი (თბილისი)

მალაროელი (ჭიათურა) — სიონი (ბოლნისი) 2-0

მალაროელი: გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ასანიძე, გაბრიჭიძე, ტეფნაძე, შეყლაშვილი, ბუიშვილი, თ. სამხარაძე (მენაბდიშვილი), კავთელაძე, მწყრაშვილი (ლოლაძე).

სიონი: ჩლაიძე, ჩომახიძე (ჯაგიდისი), ყველაშვილი, ყიფშიძე, წიკლაური (მოსეშვილი), ტრაპაიძე, ხოსროშვილი, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ისიანი, ტარტარაშვილი.

გოლები: შეყლაშვილი (12), იობაშვილი (61, პენ.)

გააფრთხილეს: გაბრიჭიძე, შაკიაშვილი

მსაჯი: ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი)

უეფას თასი

1/8 ფინალი • პირველი მატჩები

აიაქსი (ჰოლანდია) — ბოხუმი (გერმანია) 4-2

0-1 ზაისი (20), 0-2 ვალდოხი (24), 1-2, 2-2 ლაუდრუპი (34, 36), 3-2 არველაძე (38), 4-2 ბაბანგიდა (45).

კარლსრუე (გერმანია) — სპარტაკი (რუსეთი) 0-0

კროაცია (ხორვატია) — ატლეტიკო (ესპანეთი) 1-1

1-0 მუნჩინი (2), 1-1 კამინერო

სტრასბურგი (საფრანგეთი) — ინტერი (იტალია) 2-0

ბატიკლი (12), ისმაილი (20).

ბრაგა (პორტუგალია) — შალკე-04 (გერმანია) 0-0

ტვენტე (ჰოლანდია) — ოსერი (საფრანგეთი) 0-1

რაპიდი (ავსტრია) — ლაციო (იტალია) 0-2

კაზირაგი (39), მანჩინი (62)

სტიაუა (რუმინეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) 2-1

1-0 ოუქსი (30, საკ. კარში), 2-0 კოიჩიუ (32), 2-1 იორკი (55).

განმეორებითი მატჩები გაიმართება 9 დეკემბერს

სტიაუა — ასტონ ვილას (მარცხნივ) და კარლსრუე — სპარტაკის შეხვედრის მომენტები.

ტიჯანი ბაბანგიდა

იყო დრო, როცა მსოფლიოში ყველა, ასე თუ ისე, მნიშვნელოვან გუნდს გამორჩეული გარემარბები ჰყავდა, ურომლისოდაც თამაში წარმოუდგენელი იყო. შემდეგ თავდამსხმელების რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, პირველ ყოვლისა, გარემარბებს მისდგნენ და მათი თამაში, ასე განსაჯეთ, ფუფუნებად მიიჩნიეს. გარემარბის ფუნქციები ნაწილობრივ განაპირა ნახევარმცველებს დაეკისრათ. გარინჩასა და ჰენტოს, მეტრეველისა და მესხის ხანა ტკბილად მოსაგონარი გახდა.

ამსტერდამის „აიაქსი" იმ მცირერიცხოვან კლუბების რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც გარემარბების ინსტიტუტი არასდროს გაუუქმებია. ბოლო წლები რომ ავიღოთ, გავიხსენოთ როგორი წარმატებით თამაშობდნენ ფინიდი ჯორჯი და მარკ ოვერმარსი. ეს მაღალტექნიკური, უსწრაფესი გარემარბები რომ არა, პატრიკ კლუივერტს ბევრი დააკლდებოდა. მარკ ოვერმარსს საერთოდ მსოფლიო კლასის ფეხბურთელების რიცხვს მიაკუთვნებდნენ, ისე კი, დიდი უიღბლო ყოფილა. მან მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, დიდხანს იმკურნალა, მაგრამ კვლავ მწყობრში რომ ჩადგა, უწინდელი მზადყოფნისაგან ძალიან შორს იყო. მალე ოვერმარსი ინგლისში გადავიდა, ფინიდი ჯორჯი — ესპანეთში. „აიაქსი" უგარემარბოდ ვერ ითამაშებდა, ამიტომ ადგა და კერკრადეს „როდადან" ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდა მიიწვია.

ბაბანგიდა ნიგერიელ ვარსკვლავთა რიგებს მიეკუთვნება. მან თავისი კარიერა ნიგერიელ კლუბ „ერიუა ტექსტაილზში" დაიწყო, შემდეგ უფრო ძლიერ „ნიგერ ტორნადოზში" აღმოჩნდა 17 წლისა, 1991 წელს ჰოლანდიის მეორე ლიგის „ვენლოსთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ კლუბში იგი ძალიან კარგად თამაშობდა, დიდად დაეხმარა პირველ ლიგაში გადასვლაში, 1992-93 წლების სეზონში კი 16 გოლი გაიტანა. გარემარბისათვის ეს მშვენიერი შედეგი იყო. 1993 წლის ზაფხულში ბაბანგიდა უკვე „როდაშია", რომელიც მანამდე დიდად არაფრით გამოირჩეოდა, ნიგერიელი ვარსკვლავით კი თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. 1996 წლის ზაფხულიდან ბაბანგიდა ამსტერდამის „აიაქსის" ფეხბურთელი გახდა.

ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელს უკვე დიდი სარბიელი ჰქონდა. მის ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, დაუვიწყარ მოგონებად დარჩა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა. რა თქმა უნდა, განთქმულ ოსტატებს: ემანუელ ამუნიკე, ნვანკო კანუ და დანიელ ამოკაში, ატლანტამდეც ძალიან კარგად იცნობდნენ, მაგრამ თუ მათ ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდობა ჰყავდა, ეს ბევრი ექსპერტისათვის საკმაოდ მოულოდნელი რამ აღმოჩნდა, ამდენი შესანიშნავი გუნდის დამარცხება და ოლიმპიური ჩემპიონობა მთლად მოულოდნელი აღმოჩნდა. მოვუსმინოთ თვით ბაბანგიდას:

— ატლანტა ჩემთვის ყველაზე უფრო სერიოზული გამოცდა იყო. ჩემს ცხოვრებაში არც ასეთი დიდი მიღწევა მქონია და არც მასთან დაკავშირებული შესაბამისი ემოციები. რა დამავიწყებს იმ ზეიმს, რომელიც ფინალში ჩვენი გამარჯვების შემდეგ დაიწყო, ჩვენთვის ოქროს მედლების გადმოცემის ცერემონიას... ჩვენი გამარჯვება თუნდაც იმიტომ არის ორმაგად ძვირფასი, რომ მთელი ოლიმპიური ტურნირის განმავლობაში ღია, მოიერიშე ფეხბურთს ვთამაშობდით, სულით არასოდეს დავცემულვართ, მაშინაც კი, როცა ჩვენი საქმე თითქმის ძალიან ცუდად იყო. ბოლოს და ბოლოს, ბედმა მეც გამიღიმა. ოლიმპიური ტურნირის მოგება და „აიაქსში" გადასვლა — ეს ხომ უზარმაზარი წარმატებაა. მეტი რაღა უნდა ისურვო კაცმა!.

ისტორიას ჩაბარდა ძველი, ლუი ვან გალის „აიაქსი" თავისი დიდი მიღწევებითა და ბოლო 1996-97 წლების სეზონის ფიასკოთი. ამბობენ, რომ ლუის ვან გაალი „ახალ აიაქსს" „ბარსელონაში" შექმნის. ჯერჯერობით კატალონიელთა კლუბს ამის მსგავსი არაფერი ეტყობა. აი, დანიელი მორტენ ოლსენი კი ნამდვილად აყალიბებს ნამდვილ „ახალ აიაქსს". მრავალნაცად იარი ლიტმანენსა და მიქაელ ლაუდრუპს, ძველი გუნდის ორიოდე ვეტერანს ნამდვილად დაუმშვენა მხარი შოთა არველაძემ. ბევრს მოელიან ტიჯანი ბაბანგიდასაგან. აი, რა აზრისაა განთქმული ფრანკ რაიკაარდი, ჰოლანდიური ფეხბურთის ერთ-ერთი სიმბოლო:

— ჩემი აზრით, მას ყველა შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ „აიაქსის" ახალი ვარსკვლავი გახდეს. ჩემზე ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ბაბანგიდას თამაშმა „მილანის" — წინააღმდეგ „ამსტერდამ არენას" გახსნისას. მოთამაშეს, რომელიც 20 წუთის განმავლობაში პირდაპირ მასხარად იგდებდა თვით პაოლო მალდინის, დიდი მომავალი აქვს.

ახლა ტიჯანი ბაბანგიდას, შეიძლება ითქვას, ურთულესი სეზონი აქვს. „აიაქსი" მატჩს მატჩზე იგებს და ჰოლანდიის დაკარგული ჩემპიონობა უნდა დაიბრუნოს. ახლა ჩემპიონთა ლიგა — „აიაქსმა" ხომ ეს თასიც დაკარგა და გაისად მისი დაბრუნება სურს. და კიდევ ერთი — ოლიმპიურ ჩემპიონებს — ნიგერიელებს ხომ მსოფლიო ჩემპიონატში მაღალ მიზნებს უსახავენ.

ბივი თორელი

საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

იური მიულდერი - „ხუმარების" იმედი

***დაიბადა:** 1969 წლის 23 მარტს*
***კლუბები:** „ბოხუმი", „აიაქსი", „ბოხუმი", „ტვენტე", „შალკე-04"*
***მიღწევები:** უეფას თასის მფლობელი (1997).*

იური ბრიუსელში დაიბადა, მაგრამ 4 წლის იყო, როცა მისმა მშობლებმა ამსტერდამში დაიბრუნეს ნავსაყუდელი. მამამისი იან მიულდერი ოქროს ხანის „აიაქსში" გამოდიოდა კრუიფის გვერდით. იურიმ თამაში 14 წლისამ დაიწყო და ამდენად, დიდად განსაცვიფრებელი მონაცემები არ ჰქონია. 19 წლის იყო, როცა „ბოხუმმა" იყიდა, სადაც მხოლოდ ორი თვე გაატარა და „აიაქსში" გადავიდა. ამსტერდამულ კლუბში იური თითქმის არც გამოუყვანიათ მინდორზე და ისევ „ბოხუმში" გაუშვეს. მაშინ, თითქოს, გამოჩნდა მისი შესაძლებლობები, მაგრამ მაინც არა იმდენად, რომ ბუნდესლიგაში ყურადღება მიექციათ.

1990 წელს მიულდერი ენსხედეს „ტვენტეში" გადავიდა, სადაც კლუბის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მაგრამ მისი საფეხბურთო კარიერის მთავარი მოვლენები „შალკე-04"-ს უკავშირდება. 1993 წელს გელზენკირხენელებმა იურიში 1,3 მილიონი დოლარი გადაიხადეს. იგი საკმაოდ კარგ დუეტს ქმნიდა რუს ბოროდიუკთან ერთად, მაგრამ თვითონ გუნდი — „შალკე-04" მოისუსტებდა. მას ორჯერ დაემუქრა ბუნდესლიგიდან გავარდნა, თუმცა, გადარჩა.

1995 წელს მიულდერი ჰოლანდიის ნაკრებში მიიწვიეს. რომ არა იგი, ჰოლანდია, ალბათ, ევრო-96-ის საგზურის გარეშე დარჩებოდა. ბელარუსებთან იურიმ 86-ე წუთზე ერთადერთი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ მას ნდობის კრედიტი გაეხსნა. მიულდერმა ნორვეგიელებთან უპრინციპულეს მატჩშიც შეაგდო გოლი და ევრო-96-ზე წასვლაც გაინაღდა.

1995-96 წლების სეზონი „შალკე-04"-ისთვის დაუვიწყარი გამოდგა. კლუბმა მრავალწლიანი შესვენების შემდეგ შეძლო მესამე ადგილის დაკავება და უეფას თასზე გამოსვლის უფლება მიიღო, მაგრამ მწვრთნელი იორგ ბერგერი გაანთავისუფლეს და მის ადგილას დანიშნეს „როდას" სპეციალისტი ჰუუბ სტევენსი, სწორედ იმ „როდასი", რომელიც „შალკემ" ის-ის იყო გამოთიშა უეფას თასის გათამაშებიდან. მიულდერი ყველა მატჩში ლიდერად გვევლინებოდა, მან ლომის წილი დაიდო „ბრიუგეს", „ვალენსიას", „ტენერიფეს" ძლევაში. ორრაუნდიან დაძაბულ ფინალში, „ინტერთან", მიულდერს ტრავმა ჰქონდა და მინდორზე არ გამოსულა და მაინც, იგი უეფას თასის მფლობელი გახდა.

„რა დამავიწყებს იმ საღამოს. არაფერი მახსოვდა. გულიანად გამოვთვერი". — ამბობს მიულდერი.

იური მხიარული პიროვნებაა. ან რატომ უნდა იყოს სხვაგვარად? იგი იმ გუნდში თამაშობს, რომელსაც ქართულად „ხუმარა" ჰქვია. აღსანიშნავია, რომ იურის მამა იანი კომიკოსი გახდა და საკმაოდ ცნობილიც. შარშან მამა-შვილი კლოუნის ტანსაცმელში ტელეეკრანზეც გამოჩნდნენ.

მიულდერი იმ ფეხბურთელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც წარმატებას დიდი შრომით მიაღწიეს. ახლა იგი საკმაოდ ძლიერ და პოპულარულ მოთამაშედ ითვლება.

ილია ნანობაშვილი

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბოგარდი უკვე „ბარსელონაშია“. დავიდსიც მალე შეუერთდება

ჰოლანდიელი მცველი ვინსტონ ბოგარდი „აიაქსიდან“ „მილანში“ ნახევარი წლის წინათ გადავიდა, მაგრამ იქ თამაში აშკარად არ გამოუვიდა. ამიტომაა, როდესაც „ბარსელონას“ მეპატრონეებმა მილანის კლუბის პრეზიდენტს სილვიო ბერლუსკონის მიმართეს წინადადებით ბოგარდი მოგვყიდეო, უარი არ უთქვამს. სატრანსფერო თანხაზეც მალე შეთანხმდნენ — კატალონიურმა კლუბმა მცველში 5 მილიონ 300 ათასი დოლარი გადაიხადა. იტყობინებიან, რომ ბოგარდმა „ბარსასთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ესპანური „ელ პაისის“ ცნობით, ლუის ვან გაალმა გადაწყვიტა „მილანიდან“ კიდევ ერთი ჰოლანდიელი გადმოიბიროს — ედგარ დავიდსი.

„იუვემ“ ნერლინგერი იყიდა

იტალიური გაზეთ „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, სახელგანთქმულმა „იუვენტუსმა“ მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი კრისტიან ნერლინგერი შეიძინა. კონტრაქტი ოთხწლიანია.

ფიშს ვერ ელევიან

ამას წინათ შეგატყობინეთ, 4 დეკემბერს მარსელში მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის წინ ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის მონაწილეთა ვინაობა. ამ დღეს „ველოდრომის“ სტადიონზე უნდა ეთამაშა სამხრეთაფრიკელ მარკ ფიშსაც, მაგრამ ინგლისური „ბოლტონის“ მეპატრონეებმა „ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს“ — წინ მნიშვნელოვანი მატჩები გველის და ფიშს მარსელში ვერ გამოვუშვებთო. სამხრეთაფრიკელები ამ დღეებში დაასახელებენ ფიშის შემცვლელს.

ძალადობის მრავალი ფაქტი

არგენტინის ჩემპიონატში, რომელიც პოპულარული კლუბების „რივერ პლეიტისა“ და „ბოკა ხუნიორსის“ მძაფრი მეტოქეობის ნიშნით მიმდინარეობს, ძალადობის არა ერთი შემთხვევა აღინიშნა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჟურნალმა „ელ გრაფიკომ“ სპეციალური მიმართვა გაუგზავნა ფიფას პრეზიდენტ ჟოაო ავილანჟსა და არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას: გამოიყენონ მთელი თავისი გავლენა ასეთი უმსგავსოების აღსაკვეთად.

„როსარიო სენტრალისა“ და „ბოკა ხუნიორსის“ მატჩი შეწყდა 68-ე წუთზე, როცა „ბოკა“ წინ იყო — 3-0. მიზეზი? მაყურებლები მსაჯებსა და მოთამაშეებს სასიგნალო რაკეტას ესროდნენ. მათ არბიტრმა ხავიერ კასტრილიმ „დაქირავებული მკვლელები“ უწოდა.

ქ. კორდოვაში მეორე დივიზიონის გუნდების შეხვედრისას მაყურებლები ღობეებზე გადაძვრნენ და მინდორზე შეცვივდნენ. თამაში შეწყდა და შედეგი გაუქმდა. მაშინ გულშემატკივრები ქალაქს მოედვნენ, 53 მანქანა და 22 ავტობუსი დააზიანეს. 12 პოლიციელი დაშავდა. ასამდე კაცი დააპატიმრეს.

დიდი აყალმაყალი მოხდა კონკებოლის თასის მატჩში „ლანუსსა“ და ბრაზილიურ „ატლეტიკო მინეიროს“ შორის. ჯერ იყო და არგენტინელთა კაპიტანმა, მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონმა ოსკარ რუჯერიმ ჩხუბი აუტეხა ბრაზილიელ ჟორჟინიოს. მათ ყველა მოთამაშემ მიბაძა, მათ შორის სათადარიგოებმაც. ასე არ უნდაო და მინდორზე მაყურებლებიც გადაცვივდნენ. „ატლეტიკო მინეიროს“ მწვრთნელი, წარსულში ბრაზილიის ნაკრების მეკარე ემერსონ ლეაო შინ ყბაჩამტვრეული დაბრუნდა და ჟურნალისტებს განუცხადა: ახლა არგენტინელები ჩვენთან უნდა ჩამობრძანდნენ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ვარსკვლავები

დეპრესიისათვის ვიღას სცალია...

ამ ზაფხულს, საფრანგეთში გამართულ საფეხბურთო ტურნირში იტალიის ნაკრებთან შეხვედრაში ნახევარმცველმა დიდიე დეშამმა 61-ედ ჩაიცვა გალისმამლიანი მაისური. იმ დღეს ფრანგული ფეხბურთის ისტორიაში იგი გახდა მერვე მოთამაშე, რომელმაც ეროვნულ გუნდში გამოსვლის 60-მატჩიან „ნორმას“ გადააჭარბა... „ამ დროს რას განიცდის ფეხბურთელი?“ — ამ შეკითხვით დაიწყო საუბარი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთა გუნდის კაპიტანთან.

— ყოველთ უწინარეს — უზარმაზარ სიხარულს. ჩემთვის ეს ნიშნავს, რომ რაღაც დამსახურება მიმიძღვის, რომ ჩემი შრომისა და უნარის წყალობით შვიდი წლის განმავლობაში მაღალი დონის ფეხბურთს ვთამაშობ და მგონი, ცოტას როდი მივაღწიე; ოღონდ, არ მსურს ამაზე რომ შევჩერდე. იმ ახალი წარმატებების იმედი მაქვს, რომლებსაც მეტწილად მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ვუკავშირებ. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასპარეზობა საფრანგეთში გაიმართება. ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მინდა სულ მწვერვალზე მოვექცე; რაც გინდათ თქვით და, ინგლისის ევროპის ჩემპიონატში მესამე ადგილმა უკმაყოფილების შეგრძნება დამიტოვა.

● ***ჟურნალისტები ხან რას გიწოდებენ, ხან რას. ნაკრების მოტორი, ფეხბურთელი მარათონელის გამძლეობითო და რა ვიცი... თქვენ თვითონ როგორ ფიქრობთ?***

— პრესის მსახურთა ბედი ეგ არის — ფეხბურთელთა თამაშის შეფასებისას სხვადასხვა განსაზღვრას მიმართონ, ხშირად მათი შესაძლებლობები კიდეც გაბერონ. ამ შემთხვევაში, მაინც ისე მგონია, რომ ჟურნალისტებს ყველა საფუძველი აქვთ, ამნაირად მიწოდებდნენ. მოტორს რაც შეეხება, როცა ჯანმრთელად ვარ და ჩინებულ სპორტულ ფორმაში ვიმყოფები, ჩქაროსნული გამძლეობა მართლაც ჩემი ერთ-ერთი კოზირი გახლავთ. აქ არაფერია გასაკვირი — მიყვარს სირბილი.

● ***„იუვენტუსის“ ღირსებას იცავთ; რას გაძლევთ იტალიის ჩემპიონატში თამაში?***

— პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში ცოტა სხვანაირი ფეხბურთია, ვიდრე, ვთქვათ, საფრანგეთში. აპენინებზე უფრო მეტ მნიშვნელობას თავდაცვით მოქმედებას ანიჭებენ, რომლებშიც უკლებლივ ყველა ნახევარმცველი უნდა მონაწილეობდეს; ოღონდ, მინდვრის შუაგულში ორივე გუნდის მოთამაშეთა დიდი თავმოყრა შეინიშნება და ოპერატიულად უნდა მიიღო გადაწყვეტილებები, ზოგჯერ წმინდა ინტუიტიურად; ეს კი მაღალ ტექნიკას მოითხოვს; როგორც მე მეჩვენება, სწორედ ასეთ ფეხბურთელად გავიზარდე.

● ***ეგებ გამოჰყოფდით „A“ სერიაში თამაშების კიდევ რომელიმე პლუსებს?***

— გადაუჭარბებლად ვამბობ, დიდ მოთამაშეებთან ყოველდღიური ვარჯიში, ჩემპიონატის მატჩებში მათთან ერთად ან მათ წინააღმდეგ გამოსვლებით საგრძნობლად განვიმტკიცე ფსიქიკა; სხვანაირად თუ ვიტყვით, ახლა თავს საუკეთესო კამპანიაში თამაშის ღირსად მივიჩნევ. ვიცი ჩემი ფასი; და უკვე არ ვვარდები სტრესულ მდგომარეობაში იმ მატჩების წინ, რომელთა ღირებულება განსაკუთრებით მაღალია.

დეპრესიაში მოუხვედრელად ვისწავლე მოდუნება და მატჩებისათვის მზადება; მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დორტმუნდის „ბორუსიასთან“ თამაშის წინ სულ სხვანაირად მეჭირა თავი, ვიდრე სამი წლის წინ „მარსელის“ შემადგენლობაში „მილანთან“ მატჩისათვის მზადებისას; მაშინ, მინდორზე სანამ გავიდოდი, გონებაში მრავალგზის გავითამაშებდი ხოლმე ჩასატარებელი შეხვედრის ამა თუ იმ მომენტს. გამუდმებული ფიქრისაგან — მატჩის მსვლელობაში როგორი შესახედავი ვიქნები-მეთქი, ფაქტობრივად, კიდეც გადავიწვი. ამ ფიქრებს სრულიად სხვა, ფეხბურთთან პირდაპირი დამოკიდებულების არმქონე ფიქრები ემატებოდა. ახლა ბევრი რამ შეიცვალა; რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის მეტოქის რაიმე შეუფასებლობაზე, სულაც არა; მაგრამ მე უკვე ზუსტად ვიცი, რომ მოწინააღმდეგეს არაფერში ტოლს არ ვუდებ. მკაფიოდ მაქვს შეგნებული, რა შემიძლია თვითონ, რას მოითხოვენ ჩემგან პარტნიორები და მწვრთნელი და ჩემს ყურადღებას სრულად და მხოლოდ ამაზე ვამახვილებ; შემდეგ კი მინდორზე გამოვდივარ და რაც შეიძლება უკეთ ვთამაშობ.

● ***კაპიტნის სამკლაური და ის ფაქტი, რომ ემე ჟაკეს გუნდში ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ხართ, რაიმე დამატებით მოვალეობებს თუ გაკისრებთ?***

— მას აქეთ, რაც საფრანგეთის კაპიტანი გავხდი, ცოტა რამ შეიცვალა. მინდორზე თავს ზუსტად ისე ვგრძნობ და ისე ვიქცევი, როგორც ადრე. არ იფიქროთ, რომ უცბად, თითქოს ჯადოსნური კვერთხის აქნევით, კაპიტნად ქცეულ დეშამს სიმამაცე და ვაჟკაცობა მოემატა. რატომ? იმიტომ, რომ ყოველთვის, როცა რაიმე არ მომწონდა, მყოფნიდა გამბედაობა ხმამაღლა მეთქვა ამაზე. არ შეცვლილა მწვრთნელთან ჩემი ურთიერთობებიც, რასაც იდეალურს დავარქმევდი. დაიჯერეთ, ემე ჟაკე თავისი საქმის საუცხოო [illegible] და ნამდვილი პროფესიონალია. იგი გულღია კაცი გახლავთ და მუდამ მზად არის სადავო მომენტების გასარჩევად. მოთამაშეთაგან ვინმეს თუ აქვს რაიმე პრობლემები ან, უბრალოდ, აუცილებლად უნდა გულისნადები გაამჟღავნოს, ყოველთვის შეუძლია ნაკრების მწვრთნელის ოთახის კარს მიუკაკუნოს; კარს იქით კი გაგებითა და ყურადღებით დახვდებიან.

● ***როგორია ფსიქოლოგიური ატმოსფერო საფრანგეთის ნაკრებში?***

— სრულიად ნორმალური. გუნდში ვერ ვამჩნევ ვერავითარ დაჯგუფებებსა და მათთან დაკავშირებულ კონფლიქტებს. ამ ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაში ნაკრების ირგვლივ და შიგნით საყრდენი პოზიცია, რასაკვირველია, ემე ჟაკეს დამსახურებაა. გუნდში მოწვეულ ყოველ ფეხბურთელს აგრძნობინებს, რომ აუცილებელი და საჭირო კაცია. ეს ჰაიჰარად ნათქვამი როდია. მწვრთნელი უხსნის მოთამაშეს, როგორია მისი როლი კოლექტივში და რა ფუნქციების შესრულება მოუწევს. წაგებათა მიზეზებს არასოდეს ინდივიდუალურ შეცდომებში არ ეძებენ, რამდენადაც წარუმატებლობის შემთხვევაში პასუხისმგებლობა, ყოველთვის საერთოა, ისევე როგორც დამსახურებაც საერთოა წარმატების დროს. ერთადერთი, რასაც ემე ჟაკე ქანცგაწყვეტამდე დაუღლელად იმეორებს, არის ის, რომ ჩვენ ყველამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთიან მიზანს უნდა მივაღწიოთ. ვფიქრობ, ხვდებით, რა მიზანზეა ლაპარაკი!

● ***არ გრძნობთ რაღაც გამოფიტვის მსგავსს ყველაზე მაღალი დანიშნულების მატჩებში განუწყვეტელი ბრძოლისაგან?***

მე ხომ პროფესიონალი ვარ, ჩემი შრომისათვის ბევრ ფულს ვიღებ; ამიტომ ვერ დავიწყებ მტკიცებას, რომ დავიღალე. დავუმატებდი, რომ არ არსებობს სპორტსმენი, რომელიც გამარჯვებებმა დაღალა და მეტი მოგება აღარ უნდა...

მოამზადა
თამაზ ებანოიძემ

ვალდანო მარადონას შესახებ

ფეხბურთის სამყაროს კვლავინდებურად აღელვებს დიეგო მარადონას საკითხი. მასთან დაკავშირებით ხან რა ჭყუნდება და ხან რა. გაეცანით გამოჩენილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის, მარადონას ყოფილი პარტნიორის ხორხე ვალდანოს აზრს.

● ***აი უკვე მრავალი წელია, ვისაც კი არ ეზარება, ერევა მარადონას კერძო ცხოვრებაში და უმეტეს შემთხვევაში, ნეგატიურად აფასებს მის საქციელს. თქვენ იზიარებთ იმათ შეხედულებებს, ვინც მარადონას უარყოფით პერსონაჟებს მიაკუთვნებს?***

— არა, იმიტომ, რომ უმეტესობის აზრი, როგორც წესი, ზედაპირულია. სინამდვილეში მარადონას ცხოვრება მისი პირადი დრამაა. მთელ კაცობრიობას შურდა მისი, და მასაც შურდა მთელი კაცობრიობისა. ყველას სურდა ისე ეცხოვრა, როგორც მარადონას, მარადონასაც უნდოდა ისე ეცხოვრა, როგორც ყველა დანარჩენს. მასაც უნდოდა დილის 8 საათზე ამდგარიყო და თავისი ბავშვები სკოლაში წაეყვანა. შინ დაბრუნებისას მაღაზიაში პროდუქტი შეეძინა. საღამოს ცოლთან და შვილებთან ერთად ქუჩაში გაესეირნა და რესტორანში ევახშმა.

მაგრამ მარადონა ხომ დიდი ხანია ყოველივე ამას, წყნარ ცხოვრებას მოკლებულია. იგი იძულებული იყო თავის სამყაროში ეცხოვრა, რომელიც შორს იყო რეალურისაგან, და ამიტომაც ძალიან დაშორებულისაგან იმასთან შედარებით, ჩვენ რომ გვიხდება ცხოვრება. მისი სამყარო მკაცრი ჩარჩოებით იყო შემოფარგლული. ფსიქოლოგიური ტვირთი, რომელიც მას უნდა ეზიდა, წარმოუდგენლად მძიმე აღმოჩნდა. მას სურდა გაეძლო ამ ტვირთის სიმძიმისათვის, და, დასაწყისში ახერხებდა კიდევაც ამას. მაგრამ ეს ხომ დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. საერთო ძალებით მივაღწიეთ იმას, რომ მარადონა ისეთი გახდა, როგორიც იგი ახლა არის.

● ***თქვენ დასაწყისში თქვით, რომ მარადონას პირადი დრამა აქვს. ახლა კი ამბობთ, რომ ამაში სხვა ადამიანები არიან დამნაშავეები.***

— არავის ვამტყუნებ, არამედ, ვამბობ, რომ მარადონას მიმართ ადამიანებმა სერიოზული შეცდომები დაუშვეს. იგი ფეხბურთში მათი კერპი იყო. მაგრამ კაცობრიობა მოითხოვდა, რომ მარადაონა მარტო ფეხბურთში კი არა, ყველაფერში ყოფილიყო მათი კერპი. მარადონას კი ფეხბურთის მინდვრის გარეთ ამ როლის შესრულებისათვის ძალა არ გააჩნდა.

მაგრამ ვინ ფიქრობდა ამაზე? ეტყობა, არავინ. და ამიტომაც მარადონასაგან კვლავ მოითხოვდნენ იმას, რისი გაკეთებაც მას ნამდვილად არ შეეძლო. ამის გამო ყველაფერ ამას მოჰყვა ადამიანური ტრაგედია, უფრო ზუსტად, ერთი ადამიანის ტრაგედია.

● ***როგორი ურთიერთობა ჰქონდა მარადონას პარტნიორებთან?***

— შესანიშნავი ურთიერთობა. მასთან მსოფლიოს ორ ჩემპიონატში გამოვდიოდი — 1982 წელს ესპანეთში და 1986 წელს მექსიკაში. არასდროს მარადონასა და ჩვენს, დანარჩენ მოთამაშეებს შორის რაიმე კონფლიქტი არ წარმოშობილა. ეს ყოველივე მხოლოდ ერთი მიზეზის გამო ხდებოდა: ჩვენ მარადონას სწორედ ისეთად აღვიქვამდით, როგორიც იგი ნამდვილად არის.

ღვთის ხელის შემწეობით...

ხორხე ვალდანო

ამის გამო იყო, რომ მექსიკაში, არგენტინის ნაკრებმა, რომელიც შედგებოდა 20 ნორმალური და ერთი არანორმალური, ე.ი. ისეთი ადამიანისაგან, რომელიც სხვას არა ჰგავს, მოიპოვა ოქროს მედლები. დიახ, მარადონა მთელი მისი კარიერის მანძილზე, ან ისეთად უნდა მიგველო, როგორიც იგი არის, ანდა, მას ნაკრები უნდა დაეტოვებინა. ამ მეორე ვარიანტს ვერც ერთი მწვრთნელი ვერ მიმართავდა, მაშინ, როცა მას ფეხბურთში საოცრებების ჩადენა შეეძლო.

● ***ეს ყველაფერი ადრე იყო. ახლა კი მარადონა, როგორც ფეხბურთელი არაფერს წარმოადგენს.***

— ასეთი კატეგორიულ დასკვნებისაგან თავს შევიკავებდი, თუმცა, ცხადია, დღევანდელ მდგომარეობაში მყოფი მარადონასაგან იმას ნამდვილად აღარ ველით, რასაც იგი ადრე აკეთებდა.

● ***თუ მაინც გუშინდელ დღეს დავუბრუნდებით, რომელი გოლი გაიტანეთ უმნიშვნელოვანეს მატჩში მარადონას გადაცემით, ან პირიქით, თქვენი გადაცემით გაიტანა მან?***

— ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არგენტინის ნაკრებისათვის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალურ მატჩს ინგლისელებთან. მარადონამ მაშინ ორი გოლი გაიტანა: 51-ე წუთზე ღვთის ხელის შემწეობით, მეორე — ღვთის ფეხის შემწეობით. 55-ე წუთზე მან მინდვრის ცენტრში მიიღო ბურთი, დაიძრა მეტოქის ნახევარზე, მოატყუა, როგორც მინიმუმი, ინგლისელთა გუნდის ნახევარი და ზუსტად გააგზავნა იგი ბადეში.

● ***ეს გასაოცარი გოლი იყო. მაგრამ თქვენ გქონდათ მასთან რაიმე დამოკიდებულება?***

— უშუალო დამოკიდებულება — თვით გამოვათრიე ბურთი ინგლისელების კარიდან: ეს რომ არ გამეკეთებინა, თამაში დიდხანს არ განახლდებოდა, ინგლისელები შოკის მდგომარეობაში ჩავარდნენ.

თუმცა იყო ერთი მოთამაშე, რომელსაც დამოკიდებულება ჰქონდა ამ გოლთან, ეს გახლავთ ენრიკე, რომელმაც მინდვრის შუაგულში მიაწოდა ბურთი მარადონას. როცა თამაშის შემდეგ შხაპს ვიღებდით, ენრიკემ ყოველგვარი ყალბი მოკრძალების გარეშე განუცხადა მარადონას: „დიაგო, მე შენ ისეთი გადაცემა გაგიკეთე, რომლის შემდეგ გოლის არგატანა, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა“. მოთამაშეებს სიცილი აუტყდათ. სინამდვილეში ხომ იმ 10 არგენტინელ მოთამაშეს, მწვრთნელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ გოლთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონია. ეს მარადონას გოლიც კი არ იყო, არამედ მის მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუში. მე ისიც კი შეუძლებლად მივიჩნიე, რომ მარადონასთან მიმერბინა და მეკოცნა.

● ***იმედი მაქვს, მარადონამ ეს ვერ შენიშნა და თქვენგან არ სწყენია?***

— მან, რა თქმა უნდა, ვერ შენიშნა, ვინ მიულოცა და ვინ არა. მაგრამ გამოირკვა, რომ, როცა მარადონა მეტოქის კარისაკენ მიდიოდა, იგი მუდმივად მადევნებდა თვალს. „მე ყოველთვის ვეძებდი შესაძლებლობას, რომ შენთვის მომეცა ბურთი, ხორხე, შორეულ ძელთან — მითხრა მარადონამ ავტობუსში სასტუმროში დაბრუნებისას — მაგრამ შენ მცველების გარემოცვაში იყავი და ვერ გავბედე ბურთის გადმოცემა“.

როცა ფეხბურთს ვთამაშობდი, ვაცოდი ტალანტების შეფასება და თავის დროზე ბევრჯერ მითქვამს, რომ ბედნიერი ვარ მინდორზე გამოვიდე მარადონასთან ერთად არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში.

მოამზადა
გივი თორელმა

ნბა: სად გადავა სკოტი პიპენი?



პიპენი (თეთრ მაისურში)

ამ დღეებში „ჩიკაგომ“ კიდევ ერთი მარცხი (მეთოთხმეტე მატჩში — მეექვსე) განიცადა, ამჯერად „ხარებმა“ „სიეტლთან“ ვერ ივარგეს 90:91. ამ შეხვედრაში მოედანზე კვლავ ვერ ვიხილეთ სკოტი პიპენი, რომელიც დაუმოწმებელი ხმების თანახმად, სხვა გუნდში გადადის (კალათბურთელის შეძენა სურთ „ლოს-ანჯელეს ლეიკერსს“ და „ფინიქს სანზს“).

სხვა მატჩები: ორლანდო — ვაშინგტონი 95:87, ტორონტო — პორტლენდი 90:91, იუტა — მინესოტა 133:124, გოლდენ სტეიტი — ნიუ-ჯერსი 87:101, საკრამენტო — დენვერი 97:93, დალასი — სან-ანტონიო 91:102, შარლოტი — დეტროიტი 90:85, მაიამი — ლეიკერსი 103:86.

ხუთი რგოლის გარშემო

ფულადი თაღლითობა მარტო ქართული ფენომენი არ გახლავთ...

ამ დღეებში დააპატიმრეს რომის პროვინციული ოლიმპიური კომიტეტის ყველა ხელმძღვანელი. შორეულ იტალიაშიც ჰყვარებიათ საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის გამოყოფილი ფინანსური საშუალებების გამოყენება უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, ავტომობილებისა და სხვა ფუფუნების საგნების უკანონოდ შესაძენად. რომის პროკურატურის გამომძიებლები ვარაუდობენ, რომ დაპატიმრებულთა და მათ თანამზრახველთა სახით, ეჭვგარეშე დგება ოცდაათზე მეტი კაცი.

არ იუარა მარიხუანა

ავსტრალიელმა მოცურავემ სკოტ მილერმა შარშან ატლანტაში, ოლიმპიადაზე, ვერცხლის მედალი მოიპოვა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. წლეულს კი ჯერჯერობით ხულიგნობით გამოიჩინა თავი.

ამას წინათ, მილერმა კანბერის გარეუბნის ერთ-ერთ სასაუზმეში იჩხუბა, რის შედეგადაც სახე დაითეთქვა და თითიც მოიტეხა. 22 წლის ოლიმპიელი მედალოსანი ამ ულირსი საქციელისათვის ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტიდან გარიცხეს. გარდა ამისა, იგი მხილებულია მარიხუანას მიღებაში, რომელიც შედის სოკ-ის მიერ აკრძალული პრეპარატების ნუსხაში. მოცურავეს სამი თვით დისკვალიფიკაცია ემუქრება.

თამაზ ილმელი

ვლადიმერ ძნელაძე

გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი ვლადიმერ ძნელაძე.

ვ. ძნელაძეს არაერთხელ დაუცავს ქართული სპორტის ღირსება მოკრივეთა საკავშირო და საუწყებო პირველობებზე, 1959 წლიდან გარდაცვალებამდე უძღვებოდა კრივის სპეციალისტთა მომზადებას საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში.

სსრ კავშირის ხალხთა VI და VII სპარტაკიადებზე იყო საქართველოს მოკრივეთა მზადების ერთ-ერთი თავკაცი, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

გულისხმიერი პედაგოგისა და მწვრთნელის, კეთილი მეგობრის ვლადიმერ ძნელაძის ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს მისი აღზრდილებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა
და სპორტის აკადემია,
ჭიდაობის, კრივისა და ძალოსნობის
კათედრა

კრივის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 69 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, წარსულში რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონი

ვლადიმერ ძნელაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

პროფესიული კრივის სამყაროში

ნუ იკბინები, მაიკ!

რკინის მაიკი, უშიშარი და უდრეკი მოკრივე, სულ ახლახან კარგად აწყობილი მექანიზმივით მუშაობდა, ყოველთვის შორს იყო ყოველგვარი დაეჭვებისაგან; ახლა კი თურმე არაფრით აღარ გვაგონებს იმ, ადრინდელ მაიკს.

— ასე მგონია, თითქოს ყველა ჩემი წინააღმდეგია, — განუცხადებია ამას წინათ, როცა ევანდერ ჰოლიფილდთან იმ ავბედით ბრძოლას იხსენებდა. — ჩემს კარიერაში პირველად დავკარგე სიმტკიცე, ადრე ყოველთვის ვიოკებდი ემოციებს. იმ საღამოს დარწმუნებული ვიყავი, რომ საკუთარი სიცოცხლისათვის ვიბრძვი...

ტაისონი როგორღაც დაბნეული და სასოწარკვეთილი გამოიყურება; დაეჭვებულია იმაში, რომ ნევადის შტატის კრივის ფუნქციონერები ნებას დართავენ კვლავ ავიდეს რინგზე.

ტელეკომპანია სი-ენ-ენისათვის ინტერვიუში პროფესიონალთა შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონს უთქვამს, რომ წლის ბოლომდე ლიცენზიის დაბრუნება განიზრახა. 29 ოქტომბრის მოტოციკლეტით ავარიის მიუხედავად, რომლის შედეგად ნეკნები ჩაილეწა, მან ვარჯიში განაახლა და კვირაში სამჯერ მეცადინეობს.

ჰოლიფილდს რაც შეეხება, მან აგრძნობინა ჟურნალისტებს, რომ ურიგო არ იქნებოდა შეხვედროდა მისი ყურის წამკვნეტელს.

თამაზ ილმელი

აბააა!

70 წლის გომელსკი რა, კაცი არ არის?

ქართველ კალათბურთის მოყვარულებს, განსაკუთრებით უფროს თაობას, კარგად ახსოვთ ალექსანდრე გომელსკი — გამოჩენილი რუსი მწვრთნელი, რომელიც წლების განმავლობაში უძღვებოდა საბჭოთა კავშირის ნაკრებს, საბჭოურ ოლიმპიურ ნაკრებსა და კიდევ უფრო დიდხანს — სახელგანთქმულ ცსკას. ნაკრებებში მისი ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს არაერთი შესანიშნავი ქართველი კალათბურთელიც გამოსულა.

მალე მთელ მსოფლიოში ცნობილი კალათბურთის სპეციალისტი ალექსანდრ გომელსკი 70 წლისთავს იზეიმებს. ეს იუბილე თვითონ უკვე მას დიდებული საჩუქრით აუღნიშნავს: ამ დღეებში ვაჟიშვილი შესძენია, თუმცა მესამე ცოლისგან, სამაგიეროდ — უკვე მეოთხე. კალათბურთის მეტრის ახლანდელი ცხოვრების თანამგზავრი ტატიანა, არც ისე დიდი ხნის წინ თავადაც თამაშობდა კალათბურთს და ეტყობა იქ „გამოიჭირა“ რუსეთული კალათბურთის ამჟამინდელმა „მამამ“ (ასე ეძახიან ამ თამაშის მოყვარულები). ალექსანდრემ და ტატიანამ ბავშვი კი გააჩინეს, მაგრამ ჯერჯერობით არ მოუნათლავთ. დედას უნდა „არტემი“ დაარქვას, საბოლოო გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, მამას ეკუთვნის.

გამორიცხული არ არის, რომ ერთ მშვენიერ, მაგრამ შორეულ დღეს, ხუთი გომელსკი — მამა და ოთხი ვაჟი „სასტარტო ხუთეულად“ გამოჩნდეს კალათბურთის მოედანზე. აბაა!

თამაზ ილმელი

ტრაგედია

საჭეს ვერ მოერია

საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტი, 73 წლის ნელსონ პაიუ ავტოკატასტროფას შეეწირა. ტრაგედია პირინეის მთებში მოხდა, ქალაქ პოს მახლობლად. პოლიციის ცნობით, დაღუპულმა საჭე ვეღარ მართა და ჭრილობებისაგან ადგილზევე გათავდა.

ახალგაზრდობაში პაიუ პროფესიონალი ხელბურთელი გახლდათ, შემდეგ — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, 80-იან წლებში კი საფრანგეთის ოლიმპიურ მოძრაობას უძღვებოდა.

ნელ-ნელა ეჩვევა

ამას წინათ ვიუწყებოდით, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჭადრაკს დაუბრუნდა გამოჩენილი დიდოსტატი, 62 წლის ბენტ ლარსენი.

და აი ვეტერანმა მონაწილეობა მიიღო დანიის 1997 წლის ჩემპიონატში. იგი ხომ ამ ქვეყნის უძლიერესი მოჭადრაკე იყო და მრავალგზის ჩემპიონიც, შემდეგ კი, რახან ჯერ ესპანეთში ცხოვრობდა და შემდეგ არგენტინაში, დანიის პირველობაზე აღარ უთამაშია.

როგორ ითამაშა ლარსენმა დანიის ახლანდელ პირველობაზე? — საკმაოდ კარგად. 10 მონაწილეს შორის მან 5 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები გაიყო, მხოლოდ ლარს ჰანსენს ჩამორჩა და საბოლოოდ ბრინჯაოს მედალი მიეკუთვნა.



1



3



15



38-33



32-44

თარაზულად: 1. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი *(ფოტო)*, 3. „ლაციოს“ ჩეხი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 8. ევროპის 1967 წლის რჩეული ფეხბურთელი, 12. „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 14. რუსი მძლეოსანი ქალი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში, 15. ხორვატიის საკალათბურთო კლუბი, 18. კუბელი მოკრივე, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, 27. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 28. ბილიარდის ნაირსახეობა, 34. წარსულში გამოჩენილი ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 35. 60-70-იანი წლების გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 36. „ოლიმპიკის“ გერმანელი ფეხბურთელი, მეკარე, 37. ნიგერიელი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 41. „ალანიას“ საფეხბურთო მწვრთნელი, 47. წარსულში ცნობილი შვედი ჩოგბურთელი ვაჟი, 48. მსოფლიოს VIII საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა.

შვეულად: 1. „ტოტენჰემის“ ფრანგი ფეხბურთელი, 2. ძველებური გუნდური შეჯიბრი ცხენოსნობაში, 9. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 1992 წლის ვიცე-ჩემპიონი, 15. ქართველი მკლავჭიდელი *(ფოტო)*, 16. ქუთაისის „ტორპედოს“ საფეხბურთო მწვრთნელი ახლო წარსულში, 17. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა, 18. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 19. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, 20. წარსულში გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი, 1974 წლის „ოქროს ბუცის“ მფლობელი, 21. საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი, 1984 წლის ევროპის ჩემპიონი, 22. 80-90-იანი წლების ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 25. გერმანელი ჩოგბურთელი ქალი, 26. ცნობილი განელი ფეხბურთელი, 29. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 41. ფიფას პირველი პრეზიდენტი, 42. ფეხბურთელი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე.

დიაგონალურად: 10-4. ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მცველი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, 10-21. ლეგენდარული ეთიოპიელი მორბენალი, 6-23. შოთა არველაძის თანაგუნდელი ფინელი ფეხბურთელი, 4-12. დანიის საფეხბურთო ნაკრების მცველი ახლო წარსულში, 21-12. „ფორმულა-1“-ის ფრანგი პილოტი, 13-5. იტალიის საფეხბურთო ნაკრების ფორვარდი, 24-7. არგენტინის საფეხბურთო ნაკრების ყოფილი მეკარე, 1990 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, 26-11. „ბოხუმის“ რუსი ფეხბურთელი, 13-26. მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ფეხბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, 5-11. სპორტული ვარჯიშის ცალკეული მოძრაობა, 39-30. „ბარსელონას“ ყოფილი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 43-31. წარსულში გამოჩენილი ქართველი ჩოგბურთელი ვაჟი, 45-37. 80-90-იან წლებში ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების ნახევარმცველი, 39-45. არჩილ არველაძის საფეხბურთო კლუბი. 30-37. „ვიჩენცას“ ურუგვაელი ფეხბურთელი, 38-33. წარსულში გამოჩენილი მაროკოელი მორბენალი *(ფოტო)*, 38-46. ომისშემდგომ წლებში თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 32-44. ბრაზილიელი ფეხბურთელი, თავდამსხმელი, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი *(ფოტო)*, 33-40. „ატლეტიკოს“ საფეხბურთო მწვრთნელი, 46-40. წარსულში ცნობილი ინგლისელი მსაჯი ფეხბურთში.

შეადგინა ბიძინა წირქვაძემ (თბილისი)

კროსვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული საჩოგბურთო კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. ლენდლი, 6. ბეკერი, 8. ჩესნოკოვი, 9. ნოვოტნა, 10. მარტინი, 14. კრაიჩეკი, 17. ავსტრალია, 18. კეში, 19. მაიოლი, 20. ევერტი, 21. კურიე, 23. სამპრასი, 25. საბატინი, 26. კოდეში, 27. ეში, 29. ფერარა, 31. ლეივერსი, 33. კაფელნიკოვი, 34. ჰუბერი, 39. მეტრეველი, 40. სანჩესი, 41. სელეში, 42. მარტინესი, 48. ივანიშევიჩი, 50. როსე, 51. ნავრატილოვა, 52. შტიხი, 53. გეიმი, 54. აგასი, 55. გრაფი, 56. ლეკონტი, 57. კონორსი, 58. ედბერგი, 59. ჰინგისი. **შვეულად:** 2. ნოა, 3. ფორეე, 4. ბორგი, 5. დიმიტრიევა, 7. კერტენი, 9. ნიუკომბი, 10. მალეევა, 11. მარტინა, 12. მაკინროი, 13. დატე, 14. კაპრიატი, 15. კაკულია, 16. ფერნანდესი, 22. პიოლინი, 23. სეტი, 24. ვილანდერი, 28. პირსი, 30. ემერსონი, 32. ენკვისტი, 35. რუბინი, 36. ზვერევა, 37. გერულაიტისი, 38. გაბრიჩიძე, 43. ტურნირი, 44. ნასტასე, 45. რიოსი, 46. მესხი, 47. ჩანგი. 49. ჩოგანი.

საჭადრაკო ამოცანა

ი. კანვატსკი (რუსეთი)



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა: 1.კd6! მფg1 2.ეh2 მფf1 3.კc5 მფe1 4.ეf2 მფd1 5.კ:b4 მფc1 6.ეf1+!

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირაკლი ხიდაშელი